სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირება

სახელმძღვანელო

2022

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

სახელმძღვანელო მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „პასუხისმგებლიანი მიწის პოლიტიკა“ – ფარგლებში.

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს შეხედულებებს.

მწვანე ალტერნატივა

© მწვანე ალტერნატივა, ნოემბერი 2022

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

სარჩევი

სახელმძღვანელოს შესახებ 2

1. რა არის სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირება? 4

2. ვის და რა როლი აქვს სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირებისას? 7

2.1 სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.....7

2.2 ინვესტორები 8

2.3 ადგილობრივი თემები და სამოქალაქო საზოგადოება.....10

3. ინვესტიციების ხელშემწყობი ინსტრუმენტები 12

4. მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებები..... 16

4.1 როგორ მივიღოთ მეტი სარგებელი საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან და როგორ შევამციროთ რისკები?.....17

4.2 ინვესტიციებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობა 27

5. დასაქმება - როგორც სოფლის მეურნეობაში ინვესტირებიდან მიღებული სარგებელი..... 32

5.1 დასაქმების სახეები 32

5.2 რა სახის სამუშაო ადგილები იქმნება და ვისთვის? 35

5.3 ვინ იღებს სარგებელს? 36

5.4 საინვესტიციო პროექტის ზეგავლენა ადგილობრივთა საარსებო საშუალებებზე 38

5.5 როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების შესაძლებლობების შექმნისთვის?.....40

6. სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირების წინაპირობები 42

გამოყენებული ლიტერატურა 45

სახელმძღვანელოს შესახებ

საქართველოს მთავრობა, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საქმეში, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სოფლის მეურნეობას. როგორც 2019 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021 – 2027 წლების სტრატეგიაშია აღნიშნული, „2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი და ქვეყნისათვის უპრეცედენტო ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის, რაც ამ მიმართულებებით მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციებში გამოიხატა.“.

უდავოა, რომ სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებში ინვესტიციების გაზრდას გადამწყვეტი როლი აქვს სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებაში, სიღარიბის შემცირებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საქმეში; მაგრამ იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სისტემებში ინვესტირებიდან მიღებული სარგებელი იყოს მდგრადი, აუცილებელია არა უბრალოდ მეტი ინვესტირება, არამედ გონივრული ინვესტირება. ეს სახელმძღვანელო, სწორედ, სოფლის მეურნეობაში გონივრულ ინვესტირებას ეხება.

სახელმძღვანელოს პირველი თავი განმარტავს სოფლის მეურნეობაში გონივრულ ინვესტირებას; კერძოდ, მოკლედ მიმოიხილავს საერთაშორისო აქტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირების პრინციპებს განსაზღვრავენ. სოფლის მეურნეობაში ინვესტირებაზე საუბრისას, როგორც წესი, გამოყოფენ დაინტერესებული მხარეების სამ ძირითად ჯგუფს: სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ინვესტორებს და ადგილობრივ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოებას. სახელმძღვანელოს მეორე თავში აღწერილია ამ ჯგუფების ზოგადი მახასიათებლები და განხილულია მათი როლი სოფლის მეურნეობაში ინვესტირებისას.

სახელმძღვანელოს მომდევნო, მესამე თავი ეძღვნება სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირების წახალისების მექანიზმებს. აქ მოცემულია ამ ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და მოკლედ აღწერილია მათი დანერგვის საშუალებები. ერთ-ერთ ასეთ მსოფლიოში ძალზე გავრცელებულ საშუალებას - საინვესტიციო შეთანხმებებს მთავრობასა და ინვესტორს შორის - ეთმობა სახელმძღვანელოს მეოთხე თავი. ამ თავში განხილულია საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები; მოცემულია საერთაშორისო პრაქტიკასა და ანალიზზე დაფუძნებული რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაზარდოს სახელმწიფომ საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან მისაღები სარგებელი და ამავე დროს, შეამციროს ასეთ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკები. ამავე თავის ბოლო ნაწილი ეთმობა ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა ინვესტიციებთან, კონკრეტულად კი, საინვესტიციო შეთანხმებების დადებასთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობა.

დასაქმება, როგორც წესი, საინვესტიციო პროექტების უმნიშვნელოვანეს სარგებლად სახელდება; თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ამ სარგებლის მიღება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. სახელმძღვანელოს მეხუთე თავი, სწორედ, სოფლის მეურნეობაში დასაქმების შესაძლებლობებს ეხება. ამ თავში, თავდაპირველად, განხილულია დასაქმების სახეები და შემდგომ, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობაში დასაქმების შესაძლებლობების შექმნაზე. თავის დასასრულს, მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ გონივრული ინვესტიციების მოზიდვას და ასეთი საინვესტიციო პროექტების შედეგად დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს სტრატეგიული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რათა წაახალისოს მიზნობრივი ინვესტირება და დაეხმაროს ინვესტორებს გონივრულ ინვესტირებაში; თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ წახალისება და დახმარება არაეფექტური და საზიანოც კი შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ქვეყანაში არ არსებობს გარკვეული წინაპირობები. სწორედ ამ წინაპირობებს აღწერს სახელმძღვანელოს ბოლო, მეექვსე თავი.

1. რა არის სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირება?

ინვესტიცია, ზოგადად, შეიძლება განიმარტოს როგორც რაიმეში კაპიტალის (ფინანსური, ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სხვა სახის კაპიტალის) ჩადების ვალდებულება, მომავალში დამატებითი შემოსავლის ან სარგებლის მიღების მოლოდინით[1].

რაც შეეხება იმას, თუ რა იგულისხმება სოფლის მეურნეობაში [და სურსათის სისტემებში] გონივრულ ინვესტირებაში, ამაზე დღეს უკვე არსებობს გლობალური კონსენსუსი, რომელიც ჩამოყალიბებულია ორ საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტში; ესენია: (1) „ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო მითითებები ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში მიწის, ტყისა და თევზის რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის საკითხების გონივრული მართვისთვის“ (Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security)[2], რომელიც გაერო-ს მსოფლიო სურსათის უსაფრთხოების კომიტეტმა 2012 წლის მაისში მიიღო; და (2) ამავე კომიტეტის მიერ 2014 წლის ოქტომბერში მიღებული „სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების პრინციპები“ (Principles for Responsible Investment in Agriculture and Food Systems). მაშინ, როდესაც პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტი მიწის მმართველობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან (მათ შორის, ინვესტირების) საკითხს ეხება, მეორე დოკუმენტი, როგორც ეს მისი სათაურიდანაც ჩანს, კონკრეტულად, გონივრული ინვესტირების პრინციპებს განავრცობს და განმარტავს.

„სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების პრინციპები“ დაინტერესებული მხარეების (მთავრობების, კერძო და სამოქალაქო სექტორების, გაერო-ს სააგენტოების, განვითარების ბანკების, კვლევითი და სამეცნიერო ინსტიტუტების) ფართო ჩართულობით შემუშავდა. ეს დოკუმენტი, მისი მიმღები სახელმწიფოებისთვის, შესასრულებლად სავალდებულო არაა; თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტი აღიარებს და ემყარება [შესაბამისი მხარეებისათვის] შესასრულებლად სავალდებულო და ნებაყოფლობით შესასრულებელ სხვადასხვა საერთაშორისო აქტს.

---

[1] სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული ინვესტიციის განმარტებას იძლევა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის #222 დადგენილებით დამტკიცებული „საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი“. ამ წესის თანახმად: „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და არაქონებრივი, მათ შორის, ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც, შესაძლო მოგების მიღების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ კაპიტალიზირდება საქართველოში შესაძენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ საქმიანობაში. ინვესტიციად არ მიიჩნევა საქართველოში მიმდინარე საგრანტო პროექტიდან/პროგრამიდან მიღებული სახსრები“.

[2] ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის სრული ტექსტის არაოფიციალური ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივის ვებ-გვერდზე.

დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში ისეთ გონივრულ ინვესტიციებს, რომლებიც წვლილს შეიტანენ სასურსათო და კვების უსაფრთხოებაში და ამგვარად, ხელს შეუწყობენ ადეკვატურ საკვებზე ადამიანის უფლების პროგრესულ რეალიზებას. გონივრული ინვესტირების პრინციპები ეხება ყველა სახის ინვესტიციას სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში - სახელმწიფოს, კერძოს, მსხვილს, მცირეს, პროდუქტების პირველად წარმოებასა და გადამუშავებას. აქ ჩამოყალიბებული პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი დაინტერესებული მხარის (მაგ., მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო კომპანიების, ფერმერების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ადგილობრივი თემების და სხვათა) მიერ ეროვნული პოლიტიკის, პროგრამების, საკანონმდებლო ნორმების, კორპორაციული სოციალური პროგრამების, კონკრეტული შეთანხმებების/ხელშეკრულებების შემუშავებისას.

გონივრული ინვესტირების პრინციპებში მოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიყოლა დაეხმარება შესაბამის მხარეებს, სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებში ინვესტირებისას, სათანადოდ უპასუხონ ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, გენდერული თანასწორობა, ჯანდაცვა და კეთილდღეობა, ახალგაზრდობის ჩართულობა, წყალზე ხელმისაწვდომობა და სხვა საკითხები. დოკუმენტში მოცემული 10 ძირითადი პრინციპის თანახმად, სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირება გულისხმობს:

პრინციპი 1	სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხიანი საკვების უზრუნველყოფის ხელშეწყობას;
პრინციპი 2	მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და საღარიბის აღმოფხვრის უზრუნველყოფის საქმეში ხელშეწყობას;
პრინციპი 3	გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას;
პრინციპი 4	ახალგაზრდობის ჩართულობის და მათი უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდას;
პრინციპი 5	მიწის, თევზისა და ტყის რესურსებზე საკუთრებისა და ამ რესურსებით სარგებლობის უფლებების, ასევე, წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლების პატივისცემას;
პრინციპი 6	ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და მდგრად მართვას, გარე ფაქტორების მიმართ მდგრადობის გაძლიერებას და კატასტროფებთან დაკავშირებული რისკების შემცირებას;
პრინციპი 7	კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციული ცოდნის პატივისცემას, მრავალფეროვნებისა და ინოვაციის მხარდაჭერას;
პრინციპი 8	უსაფრთხო და ჯანსაღი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სისტემების ჩამოყალიბების სტიმულირებას;

პრინციპი 9	ინკლუზიური და გამჭვირვალე მმართველობის სტრუქტურების, პროცესებისა და საჩივრების წარდგენისა და განხილვის მექანიზმების ინტეგრაციას;
პრინციპი 10	გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასებას და შედეგებზე რეაგირებას, ანგარიშვალდებულების გაზრდას.

სწორედ, ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებში ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; ეს პრინციპები უნდა აისახოს ქვეყნის განვითარების ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიებში.

2. ვის და რა როლი აქვს სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირებისას?

სოფლის მეურნეობაში ინვესტირებაზე საუბრისას, როგორც წესი, გამოყოფენ დაინტერესებული მხარეების სამ ძირითად ჯგუფს; ესენია:

1. სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;
2. ინვესტორები;
3. ადგილობრივი თემის წევრები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ინვესტიცია და სამოქალაქო საზოგადოება.

ეს ჯგუფები შეიძლება, ჩართული იყვნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ან/და მათზე ზეგავლენა იქონიონ საინვესტიციო გადაწყვეტილებებმა და ინვესტიციის შედეგებმა. თითოეულ ჯგუფს, ასევე, აქვს ინვესტიციებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერესი და საჭიროება. ეს განსხვავებები შეიძლება, უფრო მწვავე იყოს თითოეულ ჯგუფში შემავალი ქვე-ჯგუფების და ინდივიდუალურ დონეებზე. ამდენად, ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, მნიშვნელოვანია მონაწილეობითი მიდგომის გამოყენება; ეს, შეიძლება, დაეხმაროს პროცესს დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დაბალანსებაში და იდეალურ შემთხვევაში, გამოიწვიოს ისეთი შედეგების დადგომა, რომელიც სარგებელს მოუტანს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

2.1 სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები

მართალია, ყველა ქვეყანა თავის განსაკუთრებულ მიდგომას იყენებს სოფლის მეურნეობაში ინვესტირებისას, მაგრამ შესაძლებელია მსოფლიოში გავრცელებული ზოგადი სურათის დანახვაც: სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებში ინვესტირების რეგულირებისა და ხელშეწყობის ფუნქციები, როგორც წესი, გადანაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის.

ასე, მაგალითად: ზოგი უწყება, შესაძლოა, პასუხისმგებელი იყოს ინვესტირებისთვის პრიორიტეტული კულტურებისა და რეგიონების დადგენაზე (მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყებები); ზოგი - ინვესტირების წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებასა და მიღებაზე (მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე, ვაჭრობაზე, ფინანსების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებები); ზოგი კი - კონსულტაციების ჩატარების მექანიზმების დადგენასა (მაგალითად, იუსტიციისა და ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე უწყებები) და თავად კონსულტაციების პროცესის ზედამხედველობაზე (მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე, სოფლის განვითარებაზე, მიწის მართვაზე, გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებები). როგორც წესი, რამდენიმე უწყებაა ჩართული [უცხოელ]

ინვესტორებთან დასადებ შეთანხმებებზე მოლაპარაკების და შეთანხმებების დადების პროცესში (მაგალითად, ქვეყნის პრეზიდენტი ან/და მთავრობა, სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე, გარემოსა და მიწის საკითხებზე, იუსტიციასა და ფინანსებზე პასუხისმგებელი უწყებები, ასევე, ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტო - თუ ასეთი არსებობს ქვეყანაში). სხვადასხვა უწყებაა, ასევე, პასუხისმგებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგსა და კონტროლზე. საინვესტიციო პოლიტიკის განხილვისა და გადახედვის, ასევე საინვესტიციო პოლიტიკის სხვა სფეროებში გატარებულ პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში, როგორც წესი, ყველა სახელმწიფო უწყება მონაწილეობს.

ფუნქციათა უწყებებს შორის გადანაწილება მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა; ამავდროულად, სამწუხაროდ, გავრცელებულია უწყებებს შორის კოორდინაციის დაბალი ხარისხი. ამან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს დასახული მიზნების მიღწევას და კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს.

როგორც აღინიშნა, ზოგ ქვეყანაში არსებობს სპეციალური ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტო. ასეთი სააგენტოები, როგორც წესი, ექვემდებარებიან რომელიმე სამინისტროს და ძირითადად, ემსახურებიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ზოგჯერ, გარდა აღნიშნულისა, ასეთი სააგენტოები, შესაძლოა, მუშაობდნენ ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვაზე, და ინოვაციებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე.

ქვეყნების მთავრობები და შესაბამისი უწყებები, ინვესტიციებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, უნდა ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკებითა და სტრატეგიებით - ამ დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტებით. მაგალითად, სახელმწიფოს პრიორიტეტებად, შესაძლოა, აღიარებული ჰქონდეს ახალგაზრდების დასაქმება, სიღარიბის შემცირება ან/და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. სოფლის მეურნეობაში გონივრულ ინვესტირებად ჩაითვლება ისეთი ინვესტირება, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დასახული ამ პრიორიტეტების მიღწევის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებში ინვესტირების მიზნებიც ასახული იყოს შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიებში; ეს მიზნები კი, თავის მხრივ, შეესაბამებოდეს „სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების პრინციპებს“.

2.2 ინვესტორები

სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში ინვესტიცია შეიძლება განახორციელოს პირთა ფართო წრემ: საჯარო და კერძო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო დონორებმა, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ეს შეიძლება იყოს შიდა ან უცხოური ინვესტიცია. ინვესტორი შეიძლება იყოს მცირე ან საშუალო მეწარმე; შეიძლება იყოს მსხვილი კორპორაცია ან კორპორაციათა ჯგუფი. სოფლის მეურნეობის საინვესტიციო პროექტი შეიძლება მოიცავდეს,

როგორც მცირე, მაგალითად, 0.5 ჰექტარი ფართობის, ისე, ბევრად დიდი, ასობით და ათასობით ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწას.

როდესაც საუბრობენ სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების წახალისებაზე, როგორც წესი, გულისხმობენ კერძო ინვესტიციებს. პოლიტიკის დადგენისას, გავრცელებულია კერძო ინვესტორების დაჯგუფება შემდეგ ჯგუფებად: (ა) ადგილობრივი/შიდა მცირე მეწარმეები, მიკრო და მცირე საწარმოები; (ბ) ადგილობრივი/შიდა საშუალო და მსხვილი მეწარმეები, საწარმოები; და (გ) უცხოური მსხვილი საწარმოები, კორპორაციები. თუ დაჯგუფება ხდება პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, მაშინ, აუცილებელია, ასევე, განისაზღვროს კრიტერიუმებიც - რა ნიშნით მიეკუთვნებიან ინვესტორები ამა თუ იმ ჯგუფს (მაგალითად, ინვესტიციის მონეტარული სიდიდით, ან დაკავებული მიწის ფართობით და ადგილმდებარეობით). თავად ამ ჯგუფებშიც, ხშირად, გაერთიანებულია სხვადასხვაგვარი ინვესტორები და ამის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია პოლიტიკის განსაზღვრისას. მაგალითად, მცირე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ჯგუფში შესაძლოა სასარგებლო იყოს მესაკუთრეების ორი ქვეჯგუფის გამოყოფა: მესაკუთრეები, რომელთაც უკეთესი ხელმისაწვდომობა აქვთ ბაზარზე, კაპიტალსა და ინფრასტრუქტურაზე და მესაკუთრეები, რომელთაც მცირე საოჯახო მეურნეობა აქვთ და შესაძლოა, უმიწოდაც დარჩნენ (ეს ჯგუფი ხშირად მარგინალიზებულია და ვერ სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით).

მცირე და საშუალო მეწარმეების ინტერესებსა და საჭიროებებზე სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას, მაგალითად, სქესი და ასაკი.

დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში, ქალები შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის 43 პროცენტს. ხშირად, სწორედ ქალები არიან პასუხისმგებელი სასურსათო კულტურების მოყვანაზე - ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, და დარჩენილის გაყიდვაზე; მამაკაცები კი - კომერციული კულტურების მოყვანაზე. მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი როლისა, ქალები, ხშირად, გარიყული არიან სასურსათო სისტემებიდან, რის გამოც მათ, კაცებთან შედარებით, ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ მიწაზე და მიწასთან დაკავშირებულ რესურსებზე, ნაკლები შემოსავალი აქვთ და ნაკლებად არიან ჩართული იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათზე. შედეგად, ქალები უფრო მოწყვლადი არიან ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების მიმართ. მაღალია იმის შესაძლებლობა, რომ ქალები ნაკლებ სარგებელს მიიღებენ ინვესტიციებისგან და უფრო მეტიც, დაზარალდებიან ინვესტიციების წამახალისებელი ინიციატივების განხორციელების შედეგად (მაგალითად, კომერციული კულტურების მოყვანის გაფართოებაზე მიმართული ინვესტიციების წახალისებისას).

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს, ვინაიდან, ახალგაზრდებს, ისევე როგორც ქალებს, ხვდებათ არაერთი ბარიერი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სისტემებში ჩართვის გზაზე. ასეთ ბარიერებს შორისაა: ცოდნასა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა, მიწაზე უფლებების ბუნდოვანება და დაუცველობა, და ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა გაითვალისწინონ ქალებისა და ახალგაზრდების წინაშე არსებული ბარიერები, თავიდან აიცილონ შესაძლო უარყოფითი შედეგები და ჩართონ ქალები და ახალგაზრდები ინვესტიციების წამახალისებელი ინიციატივების დაგეგმვისას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დროულად დადგინდეს რისკები და მათი შერბილების გზები, და გაიზარდოს ამ ჯგუფების მიერ ინვესტიციების ხელშემწყობი ინიციატივებისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობები.

ზემოთ აღწერილი განსხვავებების მიუხედავად, როგორც წესი, ყველა ინვესტორის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მაღალი მოგება მიიღოს ინვესტიციიდან. ზოგ ინვესტორს, მოგებასთან ერთად, შესაძლოა, აღელვებდეს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა, ან ადგილობრივ თემთან ურთიერთობა და სხვა სოციალური საკითხები. ზოგი მცირე მეწარმისთვის, მიწასთან კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მათი წარმოების ხასიათს კულტურა და ცხოვრების წესი განსაზღვრავს.

2.3 ადგილობრივი თემები და სამოქალაქო საზოგადოება

ინვესტიციის ხასიათი განსაზღვრავს პირთა იმ წრეს, რომელზეც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილებამ. ისინი განიხილებიან როგორც „დაინტერესებული მხარეები“ და ამ მხარეების დადგენა სხვადასხვა, მათ შორის, ინვესტიციისთვის დაკავებული მიწის ზომისა და ადგილმდებარეობის, საინვესტიციო პროექტის გარემოზე ზეგავლენის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ხდება. მაგალითად, თუ საინვესტიციო პროექტი ზეგავლენას ახდენს მდინარეზე, მაშინ, დიდი ალბათობით, პროექტი ზეგავლენას იქონიებს მოსახლეობაზე მდინარის ქვედა დინებაში და ამდენად, ისინი დაინტერესებული იქნებიან, მონაწილეობა მიიღონ საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში - არ დათანხმდნენ პროექტს ან დათანხმდნენ, გარკვეული პირობებით.

ხშირად, პირები, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სისტემებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტების ზეგავლენის ქვეშ ექცევიან, თავად არიან მცირე მეწარმეები. ასეთ შემთხვევაში, ისინი, შესაძლოა, ერთდროულად, რამდენიმე როლსაც კი ასრულებდნენ; მაგალითად - მეწარმის, ადგილობრივი თემის წევრის ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ადგილობრივი მომხმარებლის, რომელზეც ზეგავლენას ახდენს სხვა პირის/საწარმოს საინვესტიციო პროექტი.

ზოგადად, შესაძლებელია, გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების შესაძლო ზეგავლენის ქვეშ მოქცეული დაინტერესებული პირების შემდეგი ჯგუფები (ეს ჯგუფები, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, ერთმანეთსაც ფარავდეს):

- ადამიანები, რომლებიც იყენებენ ან დამოკიდებული არიან იმ მიწაზე ან წყალზე, სადაც დაგეგმილია საინვესტიციო პროექტის განხორციელება (ადამიანები, რომელთა უფლებები ფორმალურად აღიარებულია ან რომელთაც აქვთ ლეგიტიმური უფლებები);

- ადგილობრივი თემის წევრები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ ან იყენებენ საინვესტიციო პროექტის მიმდებარე მიწას, ან რომელთა საარსებო წყაროები და კეთილდღეობა შესაძლოა, რაიმენაირად მოექცეს საინვესტიციო პროექტის ზეგავლენის ქვეშ;
- მეწარმეები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა, გახდეს უფრო მსხვილი საინვესტიციო პროექტის ნაწილი ან საინვესტიციო პროექტმა ზეგავლენა მოახდინოს მათ საქმიანობაზე;
- თანამშრომლები და დაქირავებული მუშები;
- სხვა დაინტერესებული მხარეები, ფართო გაგებით; მათ შორის, მოქალაქეები და მომხმარებლები მასპინძელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარეების ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ დაინტერესებულ მხარეებს შესაძლოა, ჰქონდეთ არაერთი ლეგიტიმური ინტერესი საინვესტიციო პროექტის მიმართ; მაგალითად, მათ ინტერესშია, რომ დაცული იყოს მათი უფლებები, შეიქმნას სამუშაო ადგილები, ზიანი არ მიადგეს გარემოს, გაუმჯობესდეს ბაზრებზე ხელმისაწვდომობა და სხვ. გონივრული ინვესტირება გულისხმობს, სწორედ, ამ მრავალფეროვანი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, როგორც საინვესტიციო პროექტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (კონსულტაციისა და თანხმობის მოპოვების გზით), ისე პროექტის განხორციელების პროცესში ინვესტორებისა და მთავრობის ქმედებების მონიტორინგისას. გონივრული ინვესტირება ნიშნავს დაინტერესებული მხარეებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ზეგავლენის შესაძლებლობების შექმნას.

3. ინვესტიციების ხელშემწყობი ინსტრუმენტები

ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, ინვესტიციების ფორმირებისთვის, მთავრობები, ხშირად, იყენებენ ინვესტიციების წახალისების / ხელშეწყობის სხვადასხვა ინსტრუმენტს.

ინვესტიციების წახალისება ეს არის მიზანმიმართული ღონისძიება, რომელსაც ახორციელებს მთავრობა ინვესტორისთვის (ინვესტორის სასარგებლოდ), იმისათვის, რომ მან განახორციელოს ახალი ინვესტიცია ან გააფართოოს არსებული. ასეთ შემთხვევაში, მთავრობის მიზანია, ზეგავლენა მოახდინოს ინვესტიციის ზომაზე, მდებარეობაზე, შედეგებზე, სექტორსა და ინვესტიციის სხვა მახასიათებლებზე.

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (Food and Agriculture Ogranization of the United Nations, UN FAO) და მდგრადი ინვესტირების კოლუმბიის ცენტრის (Columbia Center on Sustainable Investment) მიერ 2021 წელს ერთობლივად გამოცემული სახელმძღვანელოს თანახმად, რომელიც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების წახალისების საკითხებს ეხება[3], ინვესტიციის ხელშემწყობი ინსტრუმენტები შეიძლება, დაიყოს ხუთ ჯგუფად; ესენია:

- **ფინანსური ინსტრუმენტები** - არასაგადასახადო ფინანსური მხარდაჭერა (მაგალითად, გრანტები, სუბსიდიები, სესხები)
- **ტექნიკური და ბიზნესის დამხმარე ინსტრუმენტები** - ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, დახმარებას ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებაში, ტექნოლოგიურ მხარდაჭერას, „კვლევასა და განვითარებას“, ექსტენციის სერვისებს.
- **საგადასახადო შეღავათები** - გადასახადებთან დაკავშირებული ღონისძიებები (მაგალითად, საგადასახადო შეღავათები, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება).
- **შეღავათები რეგულირებაში** - სტიმულის შექმნა საერთო (მაგალითად, სოციალურ, შრომით ან გარემოსდაცვით) მარეგულირებელ წესებში, პირობებში გამონაკლისების დაშვების გზით.
- **სხვა ინსტრუმენტები** - ყველა სხვა ინსტრუმენტი, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებში; ასეთია, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვები, ან ახალი ან კონკრეტულ სფეროში, კონკრეტულ მიზანზე მიმართული ინფრასტრუქტურის შექმნა).

[3] Bulman, A., Cordes, K.Y., Mehranvar, L., Merrill, E. and Fiedler, Y. 2021. Guide on incentives for responsible investment in agriculture and food systems. Rome, FAO and Columbia Center on Sustainable Investment. https://doi.org/10.4060/cb3933en

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ყურადღებას გავამახვილებთ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთზე - **რეგულირებაში დაშვებულ შეღავათებზე**. ინსტრუმენტების ამ ჯგუფში შესაძლებელია შეღავათების კიდევ ორი ქვე-ჯგუფის გამოყოფა, როდესაც მიწასთან დაკავშირებულ ინვესტიციებზე ვსაუბრობთ. ესენია: (ა) ქვეყნის კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნებიდან გამონაკლისების დაშვება; და (ბ) მსხვილი ინვესტორებისთვის, მიწაზე უფლების დასაცავად, განსაკუთრებული მექანიზმების შემოღება.

(ა) ქვეყნის კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნებიდან გამონაკლისების დაშვება

ეს ხშირად აისახება გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის კანონმდებლობის შესუსტებაში. ეს მიდგომა გამოიყენება კონკრეტული საინვესტიციო პროექტების მიმართ და მაგალითად, კანონით, უცხოელ ინვესტორებს, ანიჭებს განსაკუთრებულ პროცედურულ უფლებებს. ასევე, ასეთი მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თავისუფალ სავაჭრო ზონებში ან სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში. გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი სახის შეღავათების დაწესება არყევს ადამიანის უფლებებს. გარდა ამისა, მცირეა მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი შეღავათები ზრდის ინვესტიციებს.

(ბ) მსხვილი ინვესტორებისთვის, მიწაზე უფლების დასაცავად, განსაკუთრებული მექანიზმების შემოღება

ქვეყნებში, სადაც მიწის მმართველობის სისტემა სუსტია ან ჩამოყალიბების პროცესშია, მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები, ხშირად, სადავოა; ასევე, მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა ლეგიტიმური უფლებები, ხშირად, არ არის ფორმალურად აღიარებული. მთავრობები, მართალია, იღებენ ძალისხმევას იმისათვის, რომ დაარეგულირონ ეს საკითხები, მაგრამ სირთულიდან გამომდინარე, პროცესი ნელა მიმდინარეობს და დროში იწელება. ასეთ ვითარებაში, მთავრობა შეიძლება შეეცადოს, პრიორიტეტი მიანიჭოს მსხვილი ინვესტორის უფლების აღიარებას მიწაზე - გამოარჩიოს და უფრო მეტად იზრუნოს ინვესტორის უფლებების აღიარებაზე (მაგალითად, საინვესტიციო პროექტისთვის საჭირო მიწის ინვენტარიზაციასა და დემარკაციაზე).

რა თქმა უნდა, ინვესტორებისთვის (ზოგიერთი სახის ინვესტიციის შემთხვევაში, განსაკუთრებით), დიდი მნიშვნელობა აქვს მიწაზე უფლების მოპოვებას; მაგრამ ამავდროულად, მთავრობის მიერ ინვესტორის/საინვესტიციო პროექტის ასეთი გამორჩევა, ძლიერ რისკებსაც შეიცავს. კერძოდ, მსხვილი ინვესტორების პრიორიტეტიზაციისას ჩნდება რისკი იმისა, რომ ამ პროცესში იგნორირებული იქნება მიწაზე ლეგიტიმური უფლებების მქონე პირების მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში, იზრდება იმის შესაძლებლობაც, რომ ინვესტორი, საბოლოოდ, მაინც ვერ ისარგებლებს მიწაზე მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებებით, ვინაიდან მიწაზე ლეგიტიმური უფლებების მქონე პირები გააგრძელებენ დავას. ეს შეიძლება გადაიზარდოს ძვირადღირებულ კონფლიქტებში ადგილობრივ თემებთან ან ასევე ძვირადღირებულ დავებში მთავრობასთან, ინვესტორის ინტერესების დაცვის შეუსრულებელი ვალდებულებების თაობაზე.

ზემოთ აღწერილი შეღავათების გარდა, საინვესტიციო პროექტების ან ინვესტორების მხარდასაჭერად, მთავრობები, ხშირად, მიმართავენ მიწასთან დაკავშირებულ შემდეგ ღონისძიებებს:

- იყენებენ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის (ანუ ქონების ექსპროპრიაციის) უფლებას, რათა ამ გზით მოპოვებული მიწა, შემდგომ, შესთავაზონ ინვესტორს საინვესტიციო პროექტისთვის.
- ინვესტორს სთავაზობენ მიწას ე.წ. მიწის ბანკიდან. მიწის ბანკი ფორმირდება მიწის ნაკვეთებისგან, რომლებზეც მთავრობა უფლებას წინასწარ მოიპოვებს, სანამ ესა თუ ის ინვესტორი გამოჩნდება. ასეთ შემთხვევებში, მხარეებს (მთავრობასა და მიწაზე ლეგიტიმური უფლებების მქონე პირებს) შორის ძალთა გადანაწილება, ძალზე არათანაბარია.
- მთავრობა არეგისტრირებს მიწას, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულს და არ ითვალისწინებს მიწაზე ლეგიტიმური უფლებების მქონე იმ პირების მოთხოვნას, რომელთა ოჯახებისა და თემების არაერთი თაობა, იყენებდა და დამოკიდებული იყო ამ მიწაზე. სწორედ, ასეთი მიწის დიდ ფართობებს გადასცემს მთავრობა ინვესტორს (მაგალითად, იჯარით) სარგებლობისთვის, იაფად.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც მიწის მმართველობის სისტემა სუსტია ან განვითარების პროცესშია, ასეთი მიდგომების გამოყენება შეშფოთების საფუძველი უნდა გახდეს. ზემოაღწერილი მიდგომების გამოყენებისას მთავრობამ შეიძლება, დაარღვიოს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები; ასევე, გააღვივოს კონფლიქტები და საბოლოო ჯამში, მძიმე შედეგებიც დადგეს. ძალზე სათუოა, შეიძლება, თუ არა ასეთი ღონისძიებების გატარება ინვესტიციის ხელშეწყობად ჩაითვალოს.

ზემოთ ჩამოთვლილი ინვესტირების ხელშემწყობი ინსტრუმენტების დანერგვა სხვადასხვა საშუალებით ხდება. ყველაზე გავრცელებული საშუალებებია:

(ა) არაინსტიტუციონალიზებული სპეციალური სამთავრობო პროგრამები, რომელთა მიღება, შესაძლოა, სულაც არ იყოს პირდაპირ მოთხოვნილი კანონმდებლობით;

(ბ) კანონების, კანონქვემდებარე აქტების, სხვადასხვა რეგულაციის მიღება;

(გ) შეთანხმებების დადება მთავრობასა და ინვესტორს შორის.

(ა) არაინსტიტუციონალიზებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები

ასეთი პროგრამების მიღება, როგორც წესი, არ მოითხოვება კანონმდებლობით, მაგრამ მთავრობა მათ იღებს კონკრეტულ სფეროში ან ბიზნესის კონკრეტულ (მაგალითად, მცირე მეწარმეების, ან ახალგაზრდა მეწარმეების) სეგმენტში ინვესტიციის წასახალისებლად. ამ პროგრამებს, ხშირად, დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ და დონორული დაფინანსების ამოწურვის შემდეგ, მოქმედებას წყვეტენ.

(ბ) კანონმდებლობის მიღება

ინვესტიციების [ხელშეწყობის] შესახებ მოთხოვნები შეიძლება გაბნეული იყოს როგორც ინვესტიციების მარეგულირებელ სპეციალურ ნორმატიულ აქტებში, ისე საგადასახადო, მოპოვებითი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, თავისუფალი სავაჭრო ზონებისა თუ სპეციალური ეკონომიკური ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. ეს მიდგომა, წინა მიდგომისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს უფრო მეტ თანმიმდევრულობას და უწყვეტობას ინვესტირების მხარდაჭერაში. ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, ასევე, შექმნას კარგი საფუძველი ინვესტირების სფეროში გამჭვირვალობისა ან ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემოღებისა და სისტემატიზაციისთვის.

ამ მიდგომის ნაწილია საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები. ასეთი შეთანხმებები გავლენას ახდენენ, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაზე, ისე კონკრეტულ საინვესტიციო პროექტებზე. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების - როგორც ინსტრუმენტის - მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ასეთ შეთანხმებებს შეიძლება, მოჰყვეს ქვეყნებს შორის საინვესტიციო ნაკადების გაზრდა და ინვესტიციების წახალისება. ამასთან, მეორე მხრივ, არსებობს მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება, რომელიც აჩვენებს, რომ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებს, ხშირად, არათუ არ მოჰყვება დაპირებული სარგებელი, არამედ, ზრდის საზოგადოების ხარჯებს და ზოგჯერ აფერხებს კიდეც მასპინძელი ქვეყნის მიერ დასახული განვითარების მიზნების მიღწევას.

(გ) მთავრობასა და ინვესტორს შორის შეთანხმებები

მთავრობასა და მსხვილ ინვესტორს შორის შეთანხმების დადება ძალზე გავრცელებული პრაქტიკაა მთელ მსოფლიოში. ასეთი ხელშეკრულებები იდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სურს კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ხელშეწყობა. მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ საკითხს, ცალკე, მომდევნო თავი ეთმობა.

4. მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებები

მთავრობას და ინვესტორს შორის ხელშეკრულება იდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სურს კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ხელშეწყობა. ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, ინვესტორს, ინვესტირების სანაცვლოდ, სთავაზობენ გარკვეულ ხელშემწყობ პირობებს. ფინანსური და საგადასახადო შეღავათების გარდა, ხელშეკრულებები, ხშირად, მოიცავენ შეღავათებს რეგულირებაში. ეს, ზოგ შემთხვევაში, ხდება ე.წ. „სტაბილურობის“ დებულების შემოტანით ხელშეკრულებაში: ასეთი დებულება გულისხმობს ინვესტორზე მომავალში ისეთი სამართლებრივი ცვლილებების გაუვრცელებლობას, რომელმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს მის ბიზნესზე, გაუზარდოს ხარჯები. სხვა სიტყვებით, ეს არის ეროვნული კანონმდებლობის გაყინვა ხელშეკრულების ხელმოწერის დღის მდგომარეობაში და კონკრეტული ინვესტორის ახალი სამართლებრივი (მაგალითად, პესტიციდების მოხმარების გარემოზე ზეგავლენის შემცირებაზე ან მინიმალური სავალდებულო ხელფასის ოდენობის გაზრდაზე მიმართული) მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლება. დღეს, კარგ მიდგომად ითვლება, თუ ხელშეკრულებებში არ იქნება „სტაბილურობის“ დებულება.

გარდა აღნიშნულისა, ასეთი შეთანხმებები პრობლემურია სხვა მხრივაც: შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ხასიათი დამოკიდებულია მომლაპარაკებელ მხარეებზე, მათ ვაჭრობის უნარზე; შეთანხმებებს, ასევე, სჭირდებათ სათანადო მონიტორინგი და ადმინისტრირება; შეთანხმებების შემთხვევაში, იზრდება კორუფციის რისკი; შეთანხმებები, როგორც წესი, იდება მსხვილ ინვესტორებთან და ეს მათ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, იმ მეწარმეებთან შედარებით, რომლებიც მცირე მასშტაბზე ოპერირებენ.

სასოფლო-სამეურნეო ინვესტიციებს, არც თუ იშვიათად, სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის საინვესტიციო ხელშეკრულებებზე დაფუძნებული ძვირადღირებული და ხანგრძლივი საარბიტრაჟო დავები მოჰყვება. ასეთი დავები, შეიძლება, გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით; მაგალითად, დავა შეიძლება გამოიწვიოს:

- **მიწის რეფორმის გატარებამ** - სახელმწიფომ, მაგალითად, შესაძლოა, გადაწყვიტოს მიწის ხელახალი გადანაწილება: მაგალითად, ჩამოართვას მიწა [უცხოელ] ინვესტორებს, რათა ეს მიწა გადაუნაწილოს დაუცველ ჯგუფებს ან აღუდგინოს უფლებები მიწის ისტორიულ მესაკუთრეებს (რესტიტუცია); შესაძლოა სახელმწიფომ გადაწყვიტოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გასხვისება (პრივატიზაცია) და ასეთმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს ინვესტორებზე, რომელთაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, სარგებლობის უფლებით ჰქონდათ გადაცემული.

- **საინვესტიციო პროექტების გამო მიწაზე ადგილობრივთა უფლებების შეზღუდვამ** - თუ დავის გადაჭრისას, სახელმწიფო გადაწყვეტს, დააკმაყოფილოს ადგილობრივთა

მოთხოვნები, შესაძლოა, ამას მოჰყვეს სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის საარბიტრაჟო დავა. მეორე მხრივ, მიწის სუსტი მმართველობის პირობებში, დიდია რისკი, რომ ინვესტორთა ინტერესების დაცვას შეეწიროს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

- **გარემოსდაცვით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამ** - მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს, გაამკაცროს გარემოსდაცვითი ნებართვების მოპოვების პროცედურა და მოითხოვოს პროექტების სოციალური ზეგავლენის, მათ შორის, მიწაზე უფლებებთან დაკავშირებული უფრო დეტალური კვლევის ჩატარება; ანდა გაამკაცროს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტირების მოთხოვნები. ასეთი მოთხოვნების შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს საინვესტიციო პროექტების გადავადება და ეს გახდეს ინვესტორთა მიერ დავის წამოწყების საბაბი.

- **ბუნებრივი გარემოს ცვლილებამ** - ზოგჯერ, საინვესტიციო ხელშეკრულებებით, ინვესტორებს ენიჭებათ კონკრეტულად და ნათლად ჩამოყალიბებული უფლებები, მაგრამ სუსტად და ბუნდოვნად ჩამოყალიბებული ვალდებულებები. მაგალითად, ზოგჯერ ინვესტორებს ენიჭებათ გარკვეული ბუნებრივი რესურსებით ან სერვისებით სარგებლობის უპირატესი უფლება. შესაძლოა, დადგეს ისეთი ვითარება, როდესაც გარემო პირობების ცვლილების გამო, ინვესტორთათვის მინიჭებული უფლებების განხორციელება შეუძლებელი გახდეს, ვინაიდან ამ უფლებების განხორციელებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოჰყვება მესამე მხარეზე. მაგალითად, ინვესტორს, ხელშეკრულებით, შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს წყლის უპირატესი გამოყენების უფლება. მდინარეში წყლის კლების შემთხვევაში კი, მესამე მხარეებს, შესაძლოა, შეეზღუდოთ წყალზე ხელმისაწვდომობა. ამ ვითარების გამოსასწორებლად, თუ სახელმწიფომ გადაწყვიტა საინვესტიციო ხელშეკრულების პირობების გადახედვა, ინვესტორმა შესაძლოა, ჩათვალოს, რომ მას მიადგა ზიანი და წამოიწყოს დავა სახელმწიფოსთან.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებებში ინვესტორთა ინტერესების დაცვის მექანიზმები კარგად იყოს გააზრებული მათი შედგენისას.

4.1 როგორ მივიღოთ მეტი სარგებელი საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან და როგორ შევამციროთ რისკები?

საინვესტიციო ხელშეკრულებების შედგენითა და მოლაპარაკების წარმოებით, იწყება მხარეთა (მთავრობა, ინვესტორი, ადგილობრივი თემი) შორის ურთიერთობა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ინვესტორი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს, ხოლო მთავრობა გააკონტროლებს შესრულებას. ისევე როგორც ეს ხდება სუსტი კანონაღსრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება რთული და ხანგრძლივვადიანი გამოწვევაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ამიტომ, მთავრობებმა სათანადოდ უნდა შეაფასონ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციებისა და ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგისთვის

საჭირო დროისა და ხარჯების გამოყოფის აუცილებლობა. ადგილობრივ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი - დამკვირვებლის - როლი; მთავრობებმა და ინვესტორებმა კი, უნდა გაუწიონ მათ დახმარება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და კომუნიკაციის ღია არხების შექმნის გზით.

საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებული პროცესების და ამ პროცესში განსაკუთრებით ყურადსაღები საკითხების უკეთ წარმოსაჩენად, მსოფლიო ბანკი (2015)[4], საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებულ პროცესებს, სამ ეტაპად ყოფს; ესენია: (ა) შეთანხმების დასადებად მოლაპარაკებისათვის მზადება; (ბ) მოლაპარაკება და შეთანხმების დადება; და (გ) შეთანხმების მონიტორინგი და აღსრულების კონტროლი. ბანკის თანახმად:

- **მოლაპარაკებებისთვის მომზადება** მოითხოვს მიწის, ნიადაგის და წყლის ვარგისიანობისა და ხელმისაწვდომობის სათანადო შეფასებას; საპროექტო არეალზე ან მის გარშემო მცხოვრები თემების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას და საგნობრივ დისკუსიას; ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ბიზნეს გეგმების მომზადებას; ქვეყნის მთავრობის მიერ პოტენციური ინვესტორების წინასწარ გაცხრილვას ან შემოწმებას.

- **შეთანხმებაზე მოლაპარაკება** გულისხმობს ინვესტორისა და მთავრობის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას, ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ დებულებების ჩამოყალიბებას, შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევაში, მხარეთა ვალდებულებების განსაზღვრას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებას. ამ ეტაპზე, ასევე, ხდება ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებაში ადგილობრივი თემების ჩართულობის უზრუნველყოფა და დგინდება, შეთანხმებასთან დაკავშირებული რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო.

- **შეთანხმების შესრულების მონიტორინგისა და აღსრულების ეტაპი** არაერთი მთავრობისთვის ურთულესი ეტაპია, შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების გამო. მსოფლიო ბანკის თანახმად, კვლევებმა აჩვენა, რომ მთავრობების მიერ წარმოებული მონიტორინგი სუსტი იყო, განსაკუთრებით იქ, სადაც პროექტისთვის მიწის გამოყოფა სწრაფად ხდებოდა. მთავრობებს, მონიტორინგისას, ძირითადად, უფრო მეტად აინტერესებდათ პროდუქტიულობის საკითხი, ვიდრე პროექტის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და გარემოზე ზემოქმედება.

შეთანხმებაში ანგარიშგების მკაფიო მოთხოვნებისა და ინდიკატორების დადგენა უზრუნველყოფს იმას, რომ მთავრობებსა და თემებს შეეძლებათ რეგულარულად აკონტროლონ, ასრულებს, თუ არა ინვესტორი თავის ვალდებულებებს, მათ შორის, ადგილობრივი თემების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. გამჭვირვალობა ხელშეკრულების მხარეთა მიერ

[4] Smaller,Carin; Speller,William Robert; Mirza,Hafiz Rohman; Bernasconi-Osterwalder, Nathalie; Dixie,Grahame. 2015. *Investment contracts for agriculture: maximizing gains and minimizing risks* (English). Agriculture Global Practice discussion paper, no. 3 Washington, D.C.: World Bank Group.

ვალდებულებების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესის ძირითადი ნაწილი უნდა იყოს. გამჭვირვალობა საშუალებას აძლევს ადგილობრივ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, თვალყური ადევნონ ინვესტიციების განხორციელებას ადგილზე და შეთანხმებით განმტკიცებული დაპირებების შესრულების მდგომარეობას.

მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს 13 ქვეყანაში განხორციელებული 39 მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტის შედეგების გამოკვლევის საფუძველზე, გამოყოფს ასეთი პროექტების ხუთ პოზიტიურ და ხუთ უარყოფით შედეგს. სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების დადებით შედეგებს შორის, ბანკი ასახელებს:

- დასაქმების შესაძლებლობების შექმნას;
- ადგილობრივ ფერმერთა ინტეგრაციას;
- ბაზრის შესაძლებლობების გაფართოებას;
- ადგილობრივი თემების განვითარების პროგრამების ჩამოყალიბებას; და
- შემოსავლების ზრდის შედეგად, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება საინვესტიციო პროექტების უარყოფით შედეგებს, მსოფლიო ბანკი გამოყოფს შემდეგს:

- მიწის კარგვა და ცუდად წარმართული განსახლების პროცესი;
- გამჭვირვალობის ნაკლებობა და სუსტი კავშირი ადგილობრივ თემებთან;
- პროექტის კომერციული სიცოცხლისუნარიანობის არასათანადო შეფასება;
- პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის ცუდად მართვა;
- საჩივრების წარდგენისა და განხილვის მექანიზმების არასათანადოობა.

ბანკის თანახმად, ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი შედეგების დადგომა არ არის ყოველთვის გარანტირებული; შესწავლილი პროექტების შემთხვევაში, ასეთი შედეგები სხვადასხვა ხარისხით ვლინდებოდა. უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, ბანკი მიიჩნევს, რომ მათი ნაწილის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა შეიძლებოდა ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებისთვის უკეთ მომზადების, ხელშეკრულების შედგენის პროცესის გაუმჯობესების ან/და უკეთესი მონიტორინგისა და აღსრულების გზით.

ბანკის მტკიცებით, სწორი სამართლებრივი მოთხოვნებისა და პოლიტიკის პირობებში, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებმა შეიძლება მოუტანოს სარგებელი და შეუმციროს რისკები როგორც ინვესტორებს, ისე ადგილობრივი თემებსა და [მასპინძელ] სახელმწიფოებს. საინვესტიციო ხელშეკრულებები ინვესტირების ხელშემწყობი ერთ-ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მხარეებს სარგებლის მატერიალიზებაში და პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებაში.

ქვემოთ მოცემულ პირველ და მე-2 ცხრილებში თავმოყრილია ბანკის რეკომენდაციები იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება, ერთი მხრივ, გაზრდის საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობას (ცხრილი 1), ხოლო მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს (ცხრილი 2). ცხრილების პირველ რიგში მოცემულია საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი ეტაპები. ამასთან, პირველი ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების დადებითი შედეგები, ხოლო მე-2 ცხრილის პირველ სვეტში - უარყოფითი შედეგები.

შემოთავაზებული რეკომენდაციების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს საფუძვლიანი მტკიცებულებებისა და კვლევის საფუძველზე იმის შესახებ, თუ რა მუშაობს და რა - არა. ამ გზით მიღებული ცოდნა კი, უნდა აისახოს ხელშეკრულების კონკრეტულ და დეტალურ დებულებებში, ან გამოყენებული იყოს ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტების შერჩევის პროცესში. ქვემოთ მოცემული ცხრილებიდან, ასევე, ჩანს, რომ დიდი სამუშაოა გასაწევი მოლაპარაკებების დაწყებამდე და კიდევ უფრო მეტი - საინვესტიციო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რათა ორივე მხარემ - ინვესტორმაც და მთავრობამაც - შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. ასე გახდება შესაძლებელი მთავრობებისთვის, ადგილობრივი თემებისა და ინვესტორებისთვის მდგრადი პოზიტიური შედეგების მიღება.

ცხრილი 1 . როგორ მივიღოთ მეტი სარგებელი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან[5]

სარგებლის სახე	ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი	მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დადების ეტაპი	ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი
1. დასაქმების შესაძლებლობების შექმნა	• პრიორიტეტი მიანიჭეთ ისეთ ბიზნეს-მოდელებს, რომლებიც უფრო მეტი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. • წინასწარ განიხილეთ - რა სახის სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას შექმნის პროექტი? მაგალითად, ქმნის, თუ არა ადგილობრივთა ან/და ქალთა დასაქმების შესაძლებლობას? როგორ სამუშაო ადგილებს შექმნის პროექტი - დროებითს, თუ მუდმივს? • გამოიკვლიეთ, რა გეგმები აქვს ინვესტორს ადგილობრივთა ტრეინინგებთან ან/და დასაქმებულთა უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.	• ხელშეკრულების პირობებში ჩადეთ ადგილობრივთა ან/და ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სამიზნეები. • ხელშეკრულების პირობებში შესაძლოა, აისახოს შრომის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების გამოყენების ვალდებულება. • მოითხოვეთ, ხელშეკრულების პირობებში, ადგილობრივი კადრებისთვის ტრეინინგის პროგრამების განხორციელების ვალდებულების ასახვა. • დარწმუნდით, რომ ხელშეკრულების პირობებში ასახულია დასაქმებულთათვის შეღავათების (მაგ., ცხოვრებასთან, განათლების მიღებასთან, ჯანდაცვასთან დაკავშირებული შეღავათების) მინიჭების ვალდებულებები.	• მონიტორინგი გაუწიეთ შრომის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას. • მონიტორინგი გაუწიეთ სამუშაო ადგილების შექმნასთან, ტრეინინგებთან, დასაქმებულთათვის შეღავათების მინიჭებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას. • მოითხოვეთ ყოველწლიური ანგარიშგება დასაქმებასთან დაკავშირებული სამიზნეების მიღწევის, ასევე, ტრეინინგ-პროგრამების შესრულების მდგომარეობის შესახებ

[5] წყარო: Smaller, C., and W. Speller, with H. Mirza, N. Bernasconi-Osterwalder, and G. Dixie. 2015. *Investment Contracts for Agriculture: Maximizing Gains and Minimizing Risks.* Washington, D.C.: World Bank Group; New York: United Nations; and Winnipeg: International Institute for Sustainable Development (IISD).

სარგებლის სახე	ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი	მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დადების ეტაპი	ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი
2. ადგილობრივ ფერმერთა ინტეგრაცია	• პრიორიტეტი მიანიჭეთ იმ ინვესტორებს, რომლებიც „ნარდობის სქემებს“ (ნარდობის ხელშეკრულებების დადება ფერმერებთან) იყენებენ. • უზრუნველყავით, რომ მენარდეები საინვესტიციო პროექტში ჩაერთონ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე ამუშავებული იქნება ბიზნეს-მოდელი • სიფრთხილით მოეკიდეთ ახალი კულტურების, ტექნოლოგიების, ბიზნეს-მოდელების გამოყენების საკითხს, მაგრამ არ გამორიცხოთ ისინი თავიდანვე.	• ხელშეკრულებაში ჩადეთ პირობა, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორის მიერ „ნარდობის სქემის“ გამოყენების ვალდებულებას. • ხელშეკრულებაში ჩადეთ პირობა, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორის მიერ „ნარდობის სქემაში“ მონაწილეეებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევის და წარმოებისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფის ვალდებულებას. • ჩამოაყალიბეთ ფასწარმოქმნის სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავების ზოგადი წესი.	• მონიტორინგი გაუწიეთ „ნარდობის სქემის“ მუშაობას და ინვესტორის მიერ გაწეულ დახმარებას. • მოითხოვეთ ყოველწლიური ანგარიშგება „ნარდობის სქემის“ მუშაობის ეფექტურობის შესახებ. • მონაწილეობა მიიღეთ ფასების დადგენაში და ამასთანავე, მონიტორინგი გაუწიეთ ამ მექანიზმს.
3. ბაზრის შესაძლებლობების გაფართოება	• პრიორიტეტი მიანიჭეთ იმ ინვესტორებს, რომლებიც გეგმავენ კომერციულად სიცოცხლისუნარიანი გადამამუშავებელი წარმოების ჩამოყალიბებას. • ყურადღება მიაქციეთ რას გეგმავს ინვესტორი - წარმოებისათვის საჭირო საშუალებების იმპორტს, თუ ადგილზე არსებული საშუალებების შეძენას?	• ხელშეკრულებაში ჩადეთ პირობა, რომელიც ითვალისწინებს გადამამუშავებელი წარმოების ჩამოყალიბებას. • მოსთხოვეთ ინვესტორს პრიორიტეტი მიანიჭს ადგილობრივ მიმწოდებლებს, მაშინ, როდესაც ეს შესაძლებელია. • მოსთხოვეთ ინვესტორს შეიმუშავოს ადგილობრივი ბიზნესის განვითარების გეგმები.	• მონიტორინგი გაუწიეთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარების გეგმების შესრულებას. • მონიტორინგი გაუწიეთ გადამამუშავებელი წარმოების ჩამოყალიბების პროცესს. • მოითხოვეთ ყოველწლიური ანგარიშგება ადგილობრივი ბიზნესის განვითარების გეგმების შესრულებისა და გადამამუშავებელი წარმოების განვითარების მდგომარეობის შესახებ.

სარგებლის სახე	ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი	მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დადების ეტაპი	ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი
4. ადგილობრივი თემების განვითარების პროგრამების ჩამოყალიბება	• ყურადღებით შეისწავლეთ ინვესტორთა გეგმები ადგილობრივი თემების განვითარების პროგრამების ჩამოყალიბების შესახებ. • პრიორიტეტი მიანიჭეთ ფინანსურად ინკლუზიურ ბიზნეს-მოდელებს. • უზრუნველყავით ადგილობრივ თემებთან შესაფერისი კონსულტაციის ჩატარება, მათი ჩართულობა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.	• მოსთხოვეთ ინვესტორებს ადგილობრივი თემების განვითარების შესახებ შეთანხმებების დადება; ეს შეთანხმებები თან დაურთეთ ინვესტორთან დადებულ ძირითად ხელშეკრულებას. • ჩამოაყალიბეთ ადგილობრივი თემების განვითარების შესახებ შეთანხმებების დადების ან ფინანსურად ინკლუზიური ბიზნეს-მოდელების დანერგვის პირობები და პროცესების აღწერა.	• მონიტორინგი გაუწიეთ, რამდენად სრულდება ადგილობრივი თემების განვითარების შესახებ დადებული შეთანხმებები ან ფინანსურად ინკლუზიური ბიზნეს-მოდელები. • ადგილობრივი თემების განვითარების შესახებ დადებული შეთანხმებების შეუსრებლობა ან ასეთი შეთანხმებები საერთოდ დაუდებლობა, განხილული უნდა იყოს ხელშეკრულების პირობის არსებით დარღვევად. • მოითხოვეთ ყოველწლიური ანგარიშგება ადგილობრივი თემების განვითარების შეთანხმებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
5. შემოსავლების ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება	• ყურადღებით შეისწავლეთ სასურსათო უსაფრთხოებაზე ინვესტიციის შესაძლო ზეგავლენის ყველა ასპექტი. • პრიორიტეტი მიანიჭეთ იმ ინვესტორებს, რომელთა საქმიანობა წვლილს შეიტანს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე განსაზღვრულ სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიების განხორციელების საქმეში.	• ხელშეკრულებების პირობებში ჩართეთ ინვესტორის ვალდებულება ადგილობრივი თემებისთვის სასურსათო პროგრამების განხორციელების შესახებ. • მოითხოვეთ, რომ საკვები კულტურების მოსავლის გარკვეული პროცენტი რეალიზდეს ადგილობრივ ბაზარზე, როდესაც ეს შესაძლებელია.	• მოტორინგი გაუწიეთ ადგილობრივი თემებისთვის სასურსათო პროგრამების განხორციელების ვალდებულების შესრულების მდგომარეობას. • მოტორინგი გაუწიეთ საინვესტიციო პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ დონეზე სასურსათო უსაფრთხოებაზე.

ცხრილი 2. როგორ შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკები[6]

რისკები	**ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი**	**ხელშეკრულების შემუშავების ეტაპი**	**ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი**
1. მიწის დაკარგვა და ცუდად წარმართული განსახლების პროცესი	• დაადგინეთ მიწის ყველა მოსარგებლე, მათ შორის, ფორმალურად რეგისტრირებული უფლებებით და არაფორმალური უფლებებით • ადგილობრივ თემებთან კონსულტაციით, დაადგინეთ, ხომ არ არსებობს „ნარჩენი მიწის“ პრობლემა და მოაგვარეთ ამასთან დაკავშირებული დავები. • ყურადღება მიაქციეთ, რა გეგმები აქვს ინვესტორს? - ის გეგმავს ადგილობრივთა გადასახლებას და მიწის შეძენას, თუ ის არჩევს ადგილობრივებთან მუშაობას (მაგალითად, „ნარდობის სქემის“ გამოყენებას); ან შესაძლოა, ის გეგმავს ორივე მეთოდის გამოყენებას?	• ხელშეკრულებაში დაადგინეთ ინვესტორის უფლებები საპროექტო ტერიტორიის გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ. • ხელშეკრულებას თან დაურთეთ საპროექტო ტერიტორიის რუკა, გეოგრაფიული საზღვრების აღწერით; ასევე, მიანიშნეთ ის ადგილები, რომელიც ხელუხლებლად უნდა დარჩეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). • საჭიროების შემთხვევაში, გადასასახლებელთა თანხმობით, მოამზადეთ განსახლების გეგმა.	• მონიტორინგი გაუწიეთ იმას, რომ ინვესტორი არ გასცდეს მისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებს და მიწას იყენებს დანიშნულებისამებრ. • ადგილობრივთათვის ჩამოაყალიბეთ მექანიზმი, სადაც ისინი შეძლებენ მიწასთან დაკავშირებული სადავო საკითხების შესახებ საჩივრების წარდგენას. • მოსთხოვეთ ინვესტორს, წარმოადგინოს ანგარიშები მიწასთან დაკავშირებული დავების შესახებ.
2. გამჭვირვალო-ბის ნაკლებობა და სუსტი კავშირი ადგილობრივ თემებთან	• ინვესტორთან მოლაპარაკებების დაწყებამდე, ჩაატარეთ სრული და გამჭვირვალე კონსულტაციები ადგილობრივ თემებთან	• უზრუნველყავით ადგილობრივ თემთა ჩართულობა პროექტის დიზანის განსაზღვრისას და ხელშეკრულების პირობების დადგენისას	• გაასაჯაროვეთ ხელშეკრულებები და პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები; გამოაცალკევეთ კომერციული საიდუმლოება.

[6] წყარო: Smaller, C., and W. Speller, with H. Mirza, N. Bernasconi-Osterwalder, and G. Dixie. 2015. *Investment Contracts for Agriculture: Maximizing Gains and Minimizing Risks.* Washington, D.C.: World Bank Group; New York: United Nations; and Winnipeg: International Institute for Sustainable Development (IISD).

რისკები	ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი	ხელშეკრულების შემუშავების ეტაპი	ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი
	• უზრუნველყავით ინვესტორისთვის მიწის გამოყოფის პროცესის გამჭვირვალობა და ზოგადად, საინვესტიციო პროექტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.	• ხელშეკრულებაში ჩადეთ ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებული პირობა (მაგ., რა სახის დოკუმენტები უნდა იყოს აუცილებლად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის).	• უზრუნველყავით, რომ ადგილობრივებთან საჯარო კონსულტაციებისას აღებული ვალდებულებები შესრულდეს.
3. პროექტის კომერციული სიცოცხლის-უნარიანობის არასათანადო შეფასება	• „გაცხრილეთ“ ინვესტორები მათი ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით. • პრიორიტეტი მიანიჭეთ ისეთ ბიზნეს-მოდელებს, რომელთაც ფინანსური და ოპერაციული წარმატების მიღწევის მეტი შესაძლებლობა აქვთ. • ჩაატარეთ პროექტის განხორციელების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ამის მიხედვით შეადგინეთ ბიზნეს-გეგმა. • უზრუნველყავით, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ბიზნეს-გეგმა დაამოწმოს (გადაამოწმოს) მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ და განიხილოს (და დაამტკიცოს) მთავრობამ.	• დაადგინეთ, რა საკითხები უნდა მოიცვას ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევამ • დაადგინეთ ბიზნეს-გეგმის ეტაპები. • მოითხოვეთ ანგარიშგება ბიზნეს-გეგმაში შეტანილ არსებითი ხასიათის ცვლილებებზე. • შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევებისთვის, დაადგინეთ შემდგომი ქმედებების შესახებ დებულებები; ასევე, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დებულებები.	• ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩაუტარებლობა და ბიზნეს-გეგმის მოუმზადებლობა უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევად და უნდა გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. • მონიტორინგი გაუწიეთ პროექტის ფინანსურ და ოპერაციულ ეფექტურობას. • აუცილებელია ანგარიშგება ბიზნეს-გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ. • შეიმუშავეთ ისეთ განსაკუთრებულ ვითარებებში მოქმედების გეგმა - როდესაც ინვესტორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებას (ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, გამოუყენებელი მიწის უკან დაბრუნება, მიწაზე უფლებების მესამე მხარისთვის გადაცემა, ხელშეკრულების შეწყვეტა).

რისკები	ხელშეკრულების დადებისთვის მზადების ეტაპი	ხელშეკრულების შემუშავების ეტაპი	ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და აღასრულების კონტროლი
4. პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის ცუდად მართვა	• ჩაატარეთ პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასება; შეფასების შედეგები ასახეთ მართვის გეგმებსა და ბიზნეს-გეგმაში • უზრუნველყავით, რომ შეფასება და მართვის გეგმები დაამოწმოს (გადაამოწმოს) მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ და განიხილოს (და დაამტკიცოს) მთავრობამ.	• ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს დაამატეთ სახელმძღვანელო მითითებები შეფასებისა და მართვის გეგმების უკეთ ჩასატარებლად. • ხელშეკრულების შემუშავებისას, გაითვალისწინეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და მართვის გეგმების შედეგები. • ხელშეკრულების პირობებში ჩადეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულება.	• ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ჩაუტარებლობა და მართვის გეგმების მოუმზადებლობა უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევად და უნდა გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. • მოითხოვეთ ყოველწლიური ანგარიშგება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ. • მონიტორინგი გაუწიეთ წყლის რაოდენობას და ხარისხს, ნიადაგის მდგომარეობას, კლიმატურ ცვლილებებს.
5. საჩივრების წარდგენისა და განხილვის არასათანდო მექანიზმები	• ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის საფუძველზე, ჩამოაყალიბეთ საჩივრების წარდგენისა და განხილვის მექანიზმი. • ხელი შუწყვეთ ინვესტორსა და ადგილობრივ თემებს შორის მიმდინარე კომუნიკაციის არხების ჩამოყალიბებას.	• ხელშეკრულების პირობებში ჩადეთ საჩივრების წარდგენისა და განხილვის მექანიზმის შექმნის ვალდებულება (მაგალითად, შეიძლება იქვე მითითებული იყოს ამ სფეროში მოქმედი რომელიმე საერთაშორისო სტანდარტი).	• აუცილებელია ყოველწლიური ანგარიშგება საჩივრების შესახებ; ასევე, როგორ მოგვარდა ისინი.

4.2 ინვესტიციებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობა

ინვესტიციებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობა ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია, რომელიც ყოველთვის წამოიწევა საინვესტიციო პოლიტიკაზე თუ საინვესტიციო პროექტებზე დისკუსიისას. როგორც წინა ქვეთავში ნახსენები მსოფლიო ბანკის 2015 წლის კვლევის შედეგებიდანაც ჩანს, გამჭვირვალობის ნაკლებობა და სუსტი კავშირი ადგილობრივ თემებთან საინვესტიციო პროექტების ხუთ უარყოფით შედეგს შორისაა დასახელებული. გასათვალისწინებელია, რომ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა არ არის თვითმიზანი. ეს არის მიწასთან დაკავშირებული ინვესტიციების გაუმჯობესების საშუალება.

საინვესტიციო ხელშეკრულებების დადების პროცესის გამჭვირვალობას, შეუძლია ხელი შეუწყოს გონივრულ ინვესტირებას და სარგებელი მოუტანოს ყველა მხარეს - მთავრობას, ინვესტორებს, საინვესტიციო პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ თემებს, სამოქალაქო საზოგადოებას და საზოგადოებას, ზოგადად. კერძოდ:

- სხვა ქვეყნებში დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებზე ხელმისაწვდომობა, დაეხმარება მთავრობას, გაიგოს, რა პირობებით დაიდო შეთანხმებები მსგავს სიტუაციაში; მთავრობა მიიღებს სასარგებლო ინფორმაციას სხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ. საინვესტიციო პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გაზიარება და მათი მონაწილეობა საინვესტიციო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების წარმოების პროცესში დაეხმარება მთავრობას და ჩართულ უწყებებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

- საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დაეხმარება საინვესტიციო პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ თემებს, მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, უკეთ ჩამოაყალიბონ თავისი ინტერესები და მოთხოვნები; თვალყური მიადევნონ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და შეუსრულებლობის, ან მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართონ შესაბამის ინსტიტუციებს.

- მიწა ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული იდენტობის ნაწილად აღიქმება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ამდენად, როდესაც საქმე ეხება მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ან მიწასთან დაკავშირებულ სხვა სახის საინვესტიციო პროექტებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მოსახლეობის ჩართულობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს არასტაბილურობისა და კონფლიქტის რისკების თავიდან აცილების საქმეში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ საინვესტიციო შეთანხმებების პირობების გასაიდუმლოება და ადგილობრივ თემთა გარიყვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან იწვევს თავად თავად საინვესტიციო პროექტების ლეგიტიმურობის საკითხის წამოწევას და პროექტების განხორციელების შეფერხებას; ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან მატერიალურ გავლენას ახდენს ინვესტორებზე. საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პროცესების

გამჭვირვალობას შეუძლია, დაეხმაროს ინვესტორებს ასეთი რისკების თავიდან აცილებაში. ინვესტორსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთობის სტაბილურობა საინვესტიციო პროექტის სტაბილურად განვითარების წინაპირობაა.

გაუმჭვირვალობა ხელს უშლის დაინტერესებულ მხარეებს, დაინახონ საინვესტიციო შეთანხმებების პოზიტიური და უარყოფითი შედეგები. ეს ბუნდოვანება აჩენს ეჭვებს, შესაძლოა დაუსაბუთებელსაც, რაც საბოლოო ჯამში, თავად საინვესტიციო პროექტის განხორციელებით დაინტერესებული ინვესტორისა და მთავრობის წინააღმდეგ მუშაობს.

საინვესტიციო პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემები, მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები აწყდებიან მრავალ ბარიერს საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ხელმისაწვდომობის მოპოვების გზაზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკიდან:

- **ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ადრეულ ეტაპზე:** ადგილობრივ თემებამდე საინვესტიციო პროექტის შესახებ ინფორმაცია იმდენად გვიან აღწევს, რომ ისინი ვერ ახერხებენ მიღებული ინფორმაციის დროულად გააზრებას, თავისი პრიორიტეტების ჩამოყალიბებას და მომზადებას, მობილიზებას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოსახდენად. ადგილობრივები, ხშირად, პროექტის შესახებ იგებენ მაშინ, როდესაც პირველი ტექნიკა ჩნდება საპროექტო არეალში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელშეკრულებები ქვეყნდება, მთავრობა და ინვესტორი არ იჩენენ ინიციატივას, ახსნან, ან მინიმალურად ერთვებიან დისკუსიაში იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ხელშეკრულებაზე, როგორ შეთანხმდა პირობები; სხვა სიტყვებით - როგორ იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

- **ინფორმაციის ნაწილი არასდროს საჯაროვდება:** ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი თემები და მათი მხარდამჭერები დიდი ხნის განმავლობაში ითხოვენ ინფორმაციას, რომელიც საჯარო უნდა იყოს, მაგრამ სამთავრობო უწყებები არ გასცემენ ამ ინფორმაციას. საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ ასეთი ინფორმაცია, უბრალოდ, არ არსებობს (მაგალითად, პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის კვლევები). ეს, გარდა იმისა, რომ არღვევს საჯაროობის მოთხოვნებს, ადგილობრივ თემებს და მათ მხარდამჭერებს ითრევს ინფორმაციაზე სხვადასხვა მეთოდებით ნადირობის უსარგებლო ბრძოლაში, რასაც თავისი რისკები ახლავს თან.

- **ინფორმაციის პროაქტიული გამოუქვეყნებლობა ტვირთად აწვება ადგილობრივ თემებს:** იმის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ ქვეყნდება დროულად, ადგილობრივი თემები და მათი მხარდამჭერები თავად იწყებენ ამ ინფორმაციის მოძიებას, რაც მოითხოვს დროს, თანხას და ძალისხმევის გაღებას. მაგალითად, ისინი სხვადასხვა უწყებას სთხოვენ საჯარო ინფორმაციის გაცემას, მიმართავენ სხვადასხვა ორგანიზაციას ინფორმაციისთვის, მათ შორის, ბანკებს (თუ ისინიც ჩართული არიან), ან იწყებენ ადგილზე საპროექტო საქმიანობებზე და მათ ზეგავლენაზე დაკვირვებას. გასათვალისწინებელია, რომ არ ღონისძიებებისთვის მიმართვა ყოველთვის შესაძლებელი არ

არის; ზოგ ქვეყანაში, უფლებადამცველებს ავიწროვებენ; ზოგან, მათი კრიმინალიზებაც კი ხდება.

- **გამოქვეყნებული ინფორმაცია შესაძლოა, არ იყოს ზუსტი:** მოქალაქეებს, ხშირად, მიეწოდებათ არასრული ინფორმაცია, ან ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის უკვე მოძველებულია, არაზუსტია და არ ასახავს რეალობას. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივმა თემებმა უნდა დახარჯონ დრო ინფორმაციის გადამოწმებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის რელევანტური ინფორმაციის მოძიებაში.

- **ინფორმაცია გამოქვეყნებულია, მაგრამ მაინც არ არის ხელმისაწვდომი:** აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად: სამთავრობო უწყებები აქვეყნებენ ინფორმაციას, მაგალითად, გაზეთში, რომელიც არ აღწევს დაინტერესებულ საზოგადოებამდე; ინფორმაცია გამოიკვრება უწყებების შენობებში, რომლებშიც დაინტერესებული საზოგადოების წევრები უბრალოდ არ ხვდებიან და შესაბამისად, ვერც გაიგებენ ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ; ინფორმაცია ქვეყნდება უწყებების ან კომპანიების ვებგვერდებზე და დაინტერესებული საზოგადოება ვერ ეცნობა მას, ტექნიკური შესაძლებლობების არარსებობის, ცოდნის არქონის ან არაინფორმირებულობის გამო.

- **მიუწვდომელი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები**: იმისათვის, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ შეძლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენა, მოქალაქეებმა უნდა შეძლონ სამთავრობო უწყებებში, კომპანიებსა და პროექტების დამფინანსებელ ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან შეხვედრა, მათთან კომუნიკაცია; ეს ყოველთვის შესაძლებელი არაა. დაინტერესებულ საზოგადოებას, როგორც წესი, ხვდებიან არა გადაწყვეტილების მიმღები პირები, არამედ საშუალო რგოლის მენეჯერები, რომელთაც, ხშირად, არ აქვთ პასუხები წამოჭრილ კითხვებზე. პროექტების დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამფინანსებლებთან დაკავშირებაც, სირთულეს წარმოადგენს ადგილობრივი თემებისთვის.

- **ადგილობრივი თემები, დასაწყისში, ხშირად, არ იცნობენ კარგად თავის უფლებებს და სამართლებრივ საკითხებს:** მათ არ იციან, რა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როგორ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია, როგორ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორ დაიცვან თავისი უფლებები. ინვესტიციის სამართლებრივი რეგულირება, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა ხდება არამარტო კანონებით, არამედ ხელშეკრულებებით, ლიცენზიებით, ნებართვებით და სხვადასხვა სახის დოკუმენტებით. ამ დოკუმენტების ნაწილი ყოველთვის საჯარო არაა; მაშინაც კი, როდესაც საჯაროა, ადგილობრივ თემებს უჭირთ მათი გაგება და ურთიერთდაკავშირება.

- **გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის გასაგები:** ადგილობრივ თემებს უჭირთ, ხშირად, ასობით გვერდის მოცულობის ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და გაგება. თუ თემს არასდროს ჰქონია მსხვილმასშტაბიან პროექტთან და მის ზეგავლენებთან შეხება, მას, როგორც წესი, უჭირს, წარმოიდგინოს, რა ზეგავლენა მოჰყვება დაგეგმილი პროექტის განხორციელებას.

დაბნეულობას იწვევს, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცვლილებების შეტანა (მაგალითად, ვადის გაგრძელება, დამატებითი კვლევების მოთხოვნა, ნებართვის/ლიცენზიის განახლება), როდესაც ეს არ არის ახსნილი ადგილობრივი თემებისთვის. მიწაზე უფლებებთან დაკავშირებულ დაბნეულობას იწვევს, თავად ახალი პროექტის გამოჩენაც, როდესაც მთავრობამ, მაგალითად, ამ საინვესტიციო პროექტის ხელშესაწყობად, შეიძლება, შეცვალოს მიწის კატეგორია.

- **მთავრობა უპირატესობას ანიჭებს ინვესტორის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ადგილობრივი თემების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან შედარებით და იღებს არასწორ გადაწყვეტილებებს:** ასეთი პრივილეგირება პრობლემატურია, ვინაიდან ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღების პროცესი, არ არის ნეიტრალური და ხშირად, არ ასახავს რეალობას; ეს კი, საბოლოო ჯამში, კონფლიქტებში იზრდება (მაგალითად, მაშინ, როდესაც ადგილობრივთა მიერ უწყებისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიწას იყენებენ ადგილობრივი თემები; ხოლო ინვესტორის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიწა მწირია და არ გამოიყენება). თუ ჩავთვლით, რომ ადგილობრივი თემების მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს მიკერძოებული, რადგან ისინი თავის ინტერესებს იცავენ, ამ ლოგიკით, ასეთივე მიკერძოებული შეიძლება იყოს კომპანიის მიერ წარდგენილი ინფორმაციაც (როგორ „ლამაზადაც“ არ უნდა გამოიყურებოდეს ის).

- **მარეგულირებლები ხშირად უგულებელყოფენ მათთვის დაკისრებულ ვალდებულებებს:** უწყებები, რომლებსაც ევალებათ პროექტების მონიტორინგი და კონტროლი, ხშირად, არ ასრულებენ თავის ვალდებულებებს და მთლიანად ეყრდნობიან პროექტის განმახორციელებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, პროექტის მსვლელობის შესახებ. ასე გრძელდება მანამ, სანამ ადგილზე არ დაიძაბება სიტუაცია და ამბავი მედიაში გაშუქდება. მონიტორინგისა და კონტროლის შეზღუდულობა, როგორც წესი, მართლდება ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების სიმცირით, თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს, ხშირად, პოლიტიკური არჩევანია.

- **კეთილსინდისიერი მარეგულირებლები განიცდიან ზეწოლას**: უწყებები, რომლებიც ცდილობენ, გაუზიარონ ინფორმაცია ადგილობრივ თემებსა და საზოგადოებას, რათა მათ შეძლონ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, ხშირად განიცდიან ზეწოლას ძალაუფლების მქონე მხარეების მხრიდან. ამ მხარეებს, შესაძლოა, სურდეთ, ნებისმიერ ფასად განახორციელონ საინვესტიციო პროექტი და ამიტომ, არ ერიდებოდნენ თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ფიზიკურად გასწორების, თანამდებობიდან დათხოვნის მუქარას ან სხვაგვარ ზეწოლას. ასეთ პირობებში, კეთილსინდისიერი მარეგულირებლების შესაძლებლობა, შეასრულონ თავისი ვალდებულებები, ხშირად, შეზღუდულია.

- **ადგილობრივ თემებს არ ძალუძთ, გადაწყვიტონ, უნდა განხორციელდეს, თუ არა პროექტი**: ადგილობრივი თემები ჯერ კიდევ განიხილებიან სუბიექტებად, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ ინვესტიციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს; ისინი არ განიხილებიან

პროცესის მხარედ, რომელსაც აქვს უფლება, გადაწყვიტოს, შეიძლება, თუ არა განხორციელდეს პროექტი და თუ შეიძლება, რა პირობებით. საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ავალდებულებენ ქვეყნებს, უზრუნველყონ პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემთა უფლებების დაცვა და რეალიზება, ხშირად, მისწრაფებად რჩება და არ იქცევა რეალობად. მთავრობები, ადგილობრივთაგან „თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის“ მოპოვების ნაცვლად, ამჯობინებენ მიწის ექსპროპრიაციის პროცედურების გამოყენებას, ინვესტიციისთვის გზის მოსასუფთავებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივმა თემებმა გააჩერეს პროექტების განხორციელება, საჩივრების განხილვის საერთაშორისო მექანიზმებში საჩივრების წარდგენის გზით.

რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო?

საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე და შემდგომ, პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო უნდა იყოს, სულ მცირე, მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებული საინვესტიციო შეთანხმება. აქ იგულისხმება, როგორც შეთანხმების ტექსტი, ისე დანართები, ნებისმიერი დამატება ან შესწორება, და შეთანხმებასთან დაკავშირებული მიმოწერა. საზოგადოებისთვის, ასევე, ცნობილი უნდა იყოს დებულებები, რომლებიც რაიმე სახის ინფორმაციის (მაგალითად, კომერციული ინფორმაციის) გასაიდუმლოებას ეხება.

საინვესტიციო შეთანხმების გარდა, საჯარო უნდა იყოს პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, ასევე, ამ ანგარიშებთან დაკავშირებული კვლევები, თუ სხვადასხვა სახის მართვის გეგმები. ღია უნდა იყოს, ასევე, ადგილობრივ თემებთან დადებული ადგილობრივი თემების განვითარების და სხვა სახის სოციალური შეთანხმებები.

კარგ პრაქტიკად ითვლება, ასევე, ინვესტორი კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის, კომპანიების მიერ გაწეული გადასახდელებისა და საინვესტიციო პროექტებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლების გამოყენების შესახებ ინფორმაციის რუტინული გამოქვეყნება; დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება იმ მიწის შესახებ, რომელიც შეიძლება დაიკავოს ან/და უკვე დაიკავა საინვესტიციო პროექტმა.

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი, გაზიარებადი და გამოყენებადი. საზოგადოებას და განსაკუთრებით, ადგილობრივ თემებს, რომლებიც შესაძლოა, მოექცნენ საინვესტიციო პროექტების ზეგავლენის ქვეშ, უნდა მიეცეთ პროექტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეფექტური და საგნობრივი მონაწილეობის შესაძლებლობა.

5. დასაქმება - როგორც სოფლის მეურნეობაში ინვესტირებიდან მიღებული სარგებელი

5.1 დასაქმების სახეები

დასაქმება, ხშირად, საინვესტიციო პროექტების უმნიშვნელოვანეს სარგებლად განიხილება (წინა თავში აღნიშნულ მსოფლიო ბანკის 2015 წლის კვლევაშიც, საინვესტიციო პროექტებიდან მიღებულ ხუთ დადებით შედეგს შორის ერთ-ერთი, სწორედ, დასაქმებაა); თუმცა, ამ სარგებლის მიღება ყოველთვის შესაძლებელი არ არის: დასაქმების შესაძლებლობები, შესაძლოა, გაზვიადებული იყოს; ან მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ვერ უზრუნველყოს დასაქმების შესაძლებლობების ზრდა; ზოგ შემთხვევაში, ინვესტიციას შეიძლება, არათუ დასაქმება, პირიქით - ადამიანთა საარსებო საშუალებების კარგვაც კი მოჰყვეს. სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ინვესტირებისას და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, ასევე, დასაქმების ხარისხობრივი მაჩვენებლები, მაგალითად: სამუშაოს ხასიათი, უსაფრთხოება, ხელფასი, ინვესტიციის საარსებო წყაროებზე ზეგავლენა და სხვ. ამდენად, როდესაც დასაქმებით მიღებულ სარგებელს ითვლიან, ზუსტი მაჩვენებლის გამოთვლა რთულია, იმდენად, რამდენადაც ყოველთვის არ არის ნათელი, რა იგულისხმება დასაქმებაში.

ზოგადად, ინვესტიციამ დასაქმების შესაძლებლობები შეიძლება შექმნას **პირდაპირ, ირიბად** ან **გაუწიოს სტიმულირება**.

პირდაპირი დასაქმება, როგორც წესი, მოიცავს უშუალოდ ინვესტორის მიერ დასაქმებულებს და საინვესტიციო პროექტის [განხორციელების] ადგილზე მისი კონტრაქტორების მიერ დასაქმებულებს. ამასთან, სხვადასხვა შემთხვევაში, საინვესტიციო პროექტში პირდაპირ დასაქმებულთა რაოდენობის დათვლისას, ზოგმა, შესაძლოა, დაითვალოს მხოლოდ სრულ განაკვეთზე მომუშავეები, ზოგმა კი, სრულთან ერთად, ნახევარ განაკვეთზე მომუშავეებიც.

ირიბი დასაქმება სამ კომპონენტს მოიცავს: (1) საინვესტიციო პროექტის [განხორციელების] ადგილის გარეთ, პროექტისთვის მომუშავე კონტრაქტორებს; (2) იმ მომწოდებლებს, ქვე-კონტრაქტორებს და მათ მიერ დაქირავებულებს, რომელთა დასაქმება დაკავშირებულია საინვესტიციო პროექტის შედეგად წარმოებულ ბიზნესთან; (3) დასაქმების შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოიქმნება რეგიონში ინვესტორის მონაწილეობით განხორციელებული სოციალური (მაგალითად, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაზე მიმართული) პროექტების შედეგად.

სტიმულირებულ დასაქმებად ითვლება დასაქმების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც პირდაპირი და ირიბი დასაქმებით მიღებული შემოსავლების ხარჯვის შედეგად წარმოიქმნება; ანუ, როდესაც პირდაპირ ან ირიბად დასაქმებულები თავის ხელფასს, მაგალითად, მაღაზიებში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივ მომსახურებაში ხარჯავენ. თუ, მაგალითად, ინვესტორი თავად

უზრუნველყოფს დასაქმებულს საცხოვრისით, კვებით, დასვენების შესაძლებლობებით და სხვა საჭირო მომსახურებით, მაშინ სტიმულირებული დასაქმების რაოდენობა შემცირდება, ვინაიდან დასაქმებულს აღარ მოუწევს თავად ამ ხარჯების გაწევა.

საინვესტიციო პროექტიდან პირდაპირ ან ირიბად გენერირებული სამუშაო ადგილების რაოდენობა არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. **სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების** შემთხვევაში, ასეთი ფაქტორებია:

- **მოყვანილი კულტურის სახე** - სხვადასხვა კულტურა სხვადასხვა ინტენსივობის შრომას მოითხოვს და ამდენად, ეს განსაზღვრავს დასაქმების ხასიათსაც. თუ მიწა ცოტაა, დასაქმებაზე მოთხოვნა კი - დიდი, მთავრობამ, შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში, წაახალისოს შრომატევადი კულტურების მოყვანაში ინვესტირება.

- **მექანიზაციის ხარისხი** - მაღალმექანიზებული პროექტები, ერთ ჰექტარზე გათვლით, უფრო მცირე რაოდენობის პირდაპირ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე მცირედ მექანიზებული პროექტები.

- **წარმოების მეთოდები** - კაპიტალტევადი საწყისი რესურსების, მაგალითად, სასუქების გამოყენება, ასევე ამცირებს სამუშაო ადგილებზე მოთხოვნას. მკვლევრები, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის, ვიდრე მექანიზებული ტრადიციული მეთოდებით წარმოებული სოფლის მეურნეობა; თუმცა, ამ შემთხვევაშიც, კულტურის სახე და რეგიონის მახასიათებლები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რამდენად მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია ორგანულ სოფლის მეურნეობას.

- **პროექტის გარემოს მახასიათებლები** - მაგალითად, მიწის ნაკვეთის ზომა (განსაზღვრავს მიწის დასამუშავებლად ტრაქტორის ან ცხოველის გამოყენების შესაძლებლობას, შესაბამისად, საჭირო მუშახელის ოდენობას); ამასთან, პროექტისთვის დიდი ფართობის მიწის დაკავება პირდაპირპროპორციულად არ იწვევს ბევრი სამუშაო ადგილის შექმნას; ნიადაგის ნაყოფიერება (დაბალნაყოფიერ მიწებზე შესაძლოა საჭირო გახდეს სასუქების გამოყენება) და წყლის ხარისხი და წყალზე ხელმისაწვდომობა.

- **გადამამუშავებელ წარმოებასთან კავშირი** - სასოფლო-სამეურნეო პროექტში გადამუშავების კომპონენტის შეტანამ შესაძლოა, გაზარდოს საჭირო სამუშაო ადგილების რაოდენობა. ამის ნაკლები შესაძლებლობაა, მაგალითად, მარცვლეული კულტურების წარმოებისას (ისეთი კულტურების მოყვანისას, რომელიც მცირედ ან საერთოდ არ გადამუშავდება).

- **მცირე ფერმერთა ჩართვის შესაძლებლობა** - მაგალითად, ნარდობის სქემის გამოყენებით შეიძლება შემცირდეს ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების რაოდენობა, მაგრამ სანაცვლოდ, პროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის საარსებო სახსრების შოვნის საშუალებებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროექტების დადებით, სასარგებლო მხარეებზე მსჯელობისას, როგორც წესი, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სარგებლად დასაქმება სახელდება. ამის საპირისპიროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროექტები ქმნიან დაპირებულზე ბევრად ნაკლებ სამუშაო ადგილს, ან სამუშაო ადგილების რაოდენობა დროთა განმავლობაში იკლებს.

დასაქმების შესაძლებლობები, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ხშირად, **გაზვიადებულიც არის.** ეს, თავის მხრივ, მოსახლეობაში არარეალურ მოლოდინებს აჩენს, რაც საბოლოოდ, მოლოდინების დაუკმაყოფილებლობის გამო, იმედგაცრუებასა და კონფლიქტებშიც კი იზრდება. საინტერესოა, მაშ რატომ აზვიადებენ მთავრობები, კომპანიები ან სხვა მხარეები პროექტებში დასაქმების შესაძლებლობებს? რის გამო შეიძლება „გაბერონ“ მათ დასაქმების შესაძლებლობები? რა არის მათი მოტივაცია?

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების ყველაზე ადვილად აღქმადი ინდიკატორი შექმნილი სამუშაო ადგილებია. ამდენად, მთავრობები ისწრაფვიან, დაანახონ მოქალაქეებსა და ამომრჩევლებს, რომ მათ შეძლეს დიდი ოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა. შესაბამისად, როდესაც ამის შესაძლებლობა ეძლევათ, ისინი ემხრობიან იმ ინვესტორებს, რომლებიც უფრო მეტი სამუშაო ადგილების შექმნას ჰპირდებიან მთავრობებს. ადგილობრივი მოსახლეობა, ხშირად, ეჭვით უყურებს, ან მტრულადაც კია განწყობილი ისეთი მსხვილი საინვესტიციო პროექტების მიმართ, რომლებიც მიწის დიდ ფართობებს იკავებენ. ასეთ შემთხვევაში, კომპანიები ადვილად ხვდებიან, რომ ადგილობრივთა გულის მოგება და განწყობების შეცვლა შესაძლებელია დასაქმების შესაძლებლობების შექმნით. ამგვარად, მთავრობებსა და კომპანიებს - ორივეს აქვთ მოტივაცია [ერთად, ერთმანეთის მხარდასაჭერად] გააზვიადონ სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციური შესაძლებლობები.

ასეთი „ფარული გარიგებების“ შედეგები შეიძლება, სავალალო აღმოჩნდეს როგორც კი ადამიანები აღმოაჩენენ, რომ რეალობა დაპირებებისგან განსხვავდება. თუ პროექტი გეგმის მიხედვით წარიმართა და ამ დროისთვის პროექტის წამომწყები კომპანია ჯერ კიდევ ადგილზეა, ის აუცილებლად განიცდის ზიანს, ადგილობრივებთან გაფუჭებული ურთიერთობისა და დაკარგული ნდობის სახით. მთავრობები, როგორც წესი, უფრო ნაკლებად განიცდიან „გაბერილი“ დაპირების შედეგებს: მათ შეუძლიათ დასაქმების საკითხი ხელოვნურად გადაფარონ სხვა, „უფრო მნიშვნელოვანი“ საკითხებით. გარდა ამისა, მთავრობები იცვლებიან და ყოველ მომდევნო მთავრობას შეუძლია თავიდან აირიდოს წინამორბედის დაპირებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა.

მოლოდინები და რეალობა შეიძლება, ასევე, არ დაემთხვეს ერთმანეთს იმის გამო, რომ ინვესტორმა ვერ შეძლო თავისი მიზნებისა და გეგმების ნათლად და ეფექტურად კომუნიკაცია, მაგალითად, კულტურული და ლინგვისტური ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო. კომუნიკაციის სისუსტე შეიძლება, ასევე, გამოიწვიოს ტექნოლოგიის გამოყენებამაც (მაგალითად, კომპანიამ ვაკანსიაზე განაცხადის წარდგენა შეიძლება მოითხოვს ინტერნეტით ან ტელეფონით; მაშინ როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას შეიძლება არ ჰქონდეს (ან

შეზღუდული ჰქონდეს) ხელმისაწვდომობა ამ ტექნოლოგიებზე, ან ვერ იყენებდეს სრულფასოვნად).

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროექტების დადებითი ზეგავლენა დასაქმებაზე ყოველთვის ნათელი და ცალსახა არ არის. იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროექტების ეს „სასარგებლო მხარე" ნათლად გამოიკვეთოს და შეფასდეს, აუცილებელია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა სახის სამუშაო ადგილები იქმნება და ვისთვის? ვინ იღებს სარგებელს? რა ზეგავლენას ახდენს პროექტი ადგილობრივთა საარსებო საშუალებებზე? მომდევნო ქვეთავები ამ საკითხებზე მსჯელობას ეთმობა. ამ თავის ბოლო ქვეთავში კი, მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ გონივრული ინვესტიციების მოზიდვას და ასეთი საინვესტიციო პროექტების შედეგად პირდაპირი, ირიბი და სტიმულირებული დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

5.2 რა სახის სამუშაო ადგილები იქმნება და ვისთვის?

როდესაც საუბრობენ ამა თუ იმ პროექტით შექმნილ სამუშაო ადგილებსა და დასაქმებულთა ოდენობაზე, თითქმის არასდროს კონკრეტდება, რა სახის სამუშაო ადგილები იქმნება პროექტით, ვინ საქმდება, როგორია სამუშაო პირობები და სხვა დეტალები.

დასაქმების გარანტია და ხანგრძლივობა - სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ დაპირებების გაცემისას, როგორც წესი, არც ინვესტორი და არც მთავრობა, არ აზუსტებენ, კონკრეტულად, **როდის შეიქმნება** დაპირებული სამუშაო ადგილები - მთელი პროექტის განმავლობაში, თუ პროექტის კონკრეტულ ფაზებზე.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადად, სეზონურია. ამდენად, კვლევებიც ადასტურებენ, რომ ამ სექტორში სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი დროებითი ან სეზონურია. თეორიულად, თავისთავად, სეზონური ან დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა პრობლემური არაა, თუ ასეთი სამუშაო შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა მიერ დროებითი ან სეზონური სამუშაოს შეთავსებას ნატურალურ მეურნეობასთან. პრაქტიკაში კი, ასეთი ურთიერთშეთავსება, რთულია. გარდა ამისა, დროებით დასაქმებულებს, მუდმივად დასაქმებულებთან შედარებით, უფრო მძიმე სამუშაო პირობებში უწევთ მუშაობა. დროებით დასაქმებულები, ასევე, უფრო დაუცველნი არიან უბედური შემთხვევის გამო სამუშაოს გაგრძელების შეუძლებლობისას. ზოგადად, დროებით და სეზონურად დასაქმებულები სარგებლობენ ნაკლები გარანტიებით, მუდმივად დასაქმებულებთან შედარებით.

ხელფასები, შემოსავალი - მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ყველაზე დაბალანაზღაურებადი დარგი სოფლის მეურნეობაა. ხელფასები ამ სექტორში არამდგრადი, ცვალებადია. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ხელფასის ადეკვატურობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია ქვეყნის, რეგიონის, სექტორის, პროექტის კონტექსტი: ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, პლანტაციურ მეურნეობაში დაქირავებულთა ხელფასი შესაძლოა ქვეყნის საარსებო მინიმუმზე მეტი იყოს; ასევე, საშუალო ხელფასი შეიძლება აღემატებოდეს სხვა სექტორში დასაქმებულთა

საშუალო ხელფასს. სხვა შემთხვევაში, უცხოური კომპანიის მიერ დაქირავებულთა ხელფასი შეიძლება ნაკლები იყოს ქვეყნის საარსებო მინიმუმზე, მაგრამ აღემატებოდეს იმავე სახის სხვა მეურნეობებში დასაქმებულთა ხელფასებს. ამგვარად, ზოგად კონტექსტს, მნიშვნელობა აქვს.

როგორც კვლევები აჩვენებენ, ღარიბ, უმიწო ადამიანებს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც, ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები არ არსებობს (ან ძალზე შეზღუდულია), მსხვილმასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო პროექტები დასაქმების და ფულადი შემოსავლის მიღების კარგ შესაძლებლობას უქმნის. ასეთი სამუშაო ნაკლებად მიმზიდველია მცირე ფერმერებისთვის (მიწის მფლობელებისთვის). არსებობს გათვლები, რომლებიც აჩვენებენ, რომ მცირე ფერმერს შეუძლია უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს თავისი ფერმერული მეურნეობიდან, ვიდრე მსხვილ მეურნეობაში მომუშავე ანაზღაურებად, დაქირავებულ მუშას, სადაც იგივე კულტურა მოჰყავთ. ამგვარად, სიღარიბის დაძლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შესაძლებელია არა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების, არამედ მცირე ფერმერულ მეურნეობებში პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობით.

სამუშაოს სახე და ტრანსფერის უნარი[7] **-** სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დიდი ნაწილი, როგორც წესი, დაბალკვალიფიციურ მუშა-ხელს საჭიროებს. ეს კი, ნიშნავს, რომ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროექტის განხორციელებისას შესაძლოა შეიქმნას სამუშაო ადგილები სასოფლო დასახლებებში მცხოვრები დაბალი კვალიფიკაციის მქონე ისეთი ადამიანებისთვის, რომელთაც დასაქმების შესაძლებლობების ძიებისას, არჩევანის დიდი შესაძლებლობები ისედაც არ აქვთ. ამის საპირისპიროდ, ასეთ პროექტებში ვერ იქმნება ბევრი სამუშაო ადგილი მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისთვის.

ეს, საბოლოოდ, იმასაც ნიშნავს, რომ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროექტებში ინვესტირებისას, არ იქმნება ტრანსფერის უნარის განვითარების შესაძლებლობები. სხვა სიტყვებით, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროექტში დასაქმებული დაბალკვალიფიციური მუშა, პროექტში მუშაობისას, ვერ შეიძენს ისეთ ცოდნას, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა თავისი ფერმერული მეურნეობის გაძღოლისას.

5.3 ვინ იღებს სარგებელს?

ინვესტორები და მთავრობები, ხშირად ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სარგებელს მიიღებს სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტებით შექმნილი სამუშაო ადგილების სახით; თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის.

მაგალითად, ასეთ პროექტებში მაღალკვალიფიციურ სამუშაოზე (და ხელმძღვანელ პოზიციებზე), ხშირად საქმდებიან არაადგილობრივები ან უცხოელები. კომპანიები ამას, როგორც წესი, ხსნიან იმით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს სამუშაოსთვის სათანადო უნარები. ზოგ შემთხვევაში, უცხოელები და არაადგილობრივები იკავებენ იმ სამუშაო

[7] ტრანსფერის უნარი - რომელიმე სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენების უნარი.

ადგილებსაც კი, რომელიც დაბალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ხშირად, ეს ხდება იმის გამო, რომ ისინი თანახმა არიან, მიიღონ დაბალი ანაზღაურება და იმუშაონ მძიმე, არასათანადო პირობებში. უცხოელთა და არაადგილობრივთა დასაქმება, თავის მხრივ, იწვევს ადგილობრივთა განაწყენებას.

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტებით გამოწვეულ მიგრაციას (როგორც უცხოეთიდან, ისე საპროექტო ქვეყნის სხვა რეგიონებიდან) შესაძლოა, მოჰყვეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. დადებით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ასეთ მიგრაციას ხშირად მოჰყვება მოთხოვნის ზრდა ადგილობრივ პროდუქტებსა და მომსახურებაზე. რაც შეეხება უარყოფით შედეგებს: როდესაც ისედაც მცირე დასაქმების შესაძლებლობებს უცხოელები და არაადგილობრივები იკავებენ (მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო შეიძლება იყოს ცუდად ანაზღაურებადი და არასტაბილური), ეს იწვევს დაძაბულობას და კონფლიქტებს ადგილობრივებსა და „ჩამოსულებს“ შორის. გარდა კონკურენციისა, მიგრანტი მუშების ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს სახელფასო განაკვეთების შემცირება, ხელი შეუშალოს პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას ან არსებული კავშირების ეფექტურ მუშაობას. მიგრანტ მუშებს, ხშირად, ასევე, უკავშირებენ რეგიონებში პროსტიტუციის და გადამდები დაავადებების გავრცელებას. მიგრანტებმა, თუ დიდ ხანს დარჩნენ საპროექტო არეალში, შეიძლება ასევე გაზარდონ კონკურენცია მიწაზე და სხვა სახის სამუშაო ადგილებზე.

მაშინაც კი, როდესაც დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ადგილობრივები ასრულებენ, დასაქმების შესაძლებლობების შექმნით მიღებული სარგებელი ყოველთვის თანაბრად არ გადანაწილდება ადგილობრივი თემის წევრებს შორის. უფრო „ძლიერი“, უკეთესი უნარების მქონე ადამიანები, რა თქმა უნდა, უპირატეს მდგომარეობაში იქნებიან. ასევე, დიდი ალბათობით, მაღალი კვალიფიკაციის მქონეებს, მოუწევთ, დაბალკვალიფიციური სამუშაოს შესრულება.

ქალებზე ზეგავლენა და გენდერული უთანასწორობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ყურადღებამისაქცევი საკითხია.

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, ქალებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. ქალები შეიძლება დასაქმებული იყვნენ როგორც საკუთარ მეურნეობებში, ისე ასრულებდნენ ანაზღაურებად სამუშაოს. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროექტები ქალებზე, ცალსახად, სხვაგვარ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე მამაკაცებზე, მაგრამ ზეგავლენის ხასიათი განსხვავებულია საერთო კონტექსტიდან, პირობებიდან გამომდინარე.

საინვესტიციო პროექტის ქალებზე ზეგავლენის ხასიათს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს საინვესტიციო პროექტის დაწყებამდე არსებული სოციალური ნორმები და პრაქტიკა; მაგალითად, როგორ იყო გადანაწილებული როლები ქალს და კაცს შორის საინვესტიციო პროექტის დაწყებამდე სოფლის მეურნეობის წარმოებისას, საოჯახო საქმეების შესრულებისას, საარსებო საშუალებების მოპოვებებისას. ზოგან, თვლიან, რომ ფორმალური, ანაზღაურებადი სამუშაო მხოლოდ კაცისთვისაა. ასეთ შემთხვევაში, ქალებს შეიძლება არც კი შესთავაზონ ან თავად ქალები არ დათანხმდნენ საინვესტიციო პროექტით შექმნილ ახალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას. სხვაგან, ქალების უპირველეს მოვალეობად „გამრავლების ფუნქციის“ შესრულებას

და საოჯახო საქმეების შესრულებას თვლიან. ასეთ შემთხვევაში, ქალებს გაუჭირდებათ ანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობა (ტრადიციულ ფუნქციებთან შეთავსება) და შესაბამისად, ისინი ვერ მიიღებენ სარგებელს საინვესტიციო პროექტით შექმნილი სამუშაო ადგილებისგან.

ხშირად, კომპანიები თავად იყენებენ გენდერულ მიდგომას ქალებისა და მამაკაცების დაქირავებისას. ეს გამოიხატება განსხვავებულ კონტრაქტებში, ასევე სამუშაოს სახეებში, რომელიც შეიძლება ქალმა ან კაცმა შეასრულოს. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში, მამაკაცებს უფრო მეტი შანსი აქვთ, მიიღონ მუდმივი სამუშაო კონტრაქტები, ვიდრე ქალებს; ქალებს, უფრო ხშირად, საჭიროების და მიხედვით, დროებითი, სეზონური, დამხმარე სამუშაოსთვის ქირაობენ. ასეთი მიდგომები ასუსტებს ქალების სამუშაოთი უზრუნველყოფის ისედაც მყიფე მდგომარეობას. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგ ვითარებაში, ასეთი მიდგომა ორმხრივად სასარგებლოც კი შეიძლება აღმოჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ქალებს, ოჯახური მოვალეობების შესრულებას ოჯახს გარეთ სამუშაო შეუთავსონ. ზოგი კომპანია, ასევე, უპირატესობას ანიჭებს ქალების დაქირავებას გარკვეული სახის სამუშაოს შესასრულებლად. ამგვარად, გენდერული მიდგომის გამოყენებას შესაძლოა ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა ქალებზე.

მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტებმა შესაძლოა, ასევე, ზეგავლენა იქონიონ ქალთა საარსებო საშუალებებსა და მათი მოპოვების გზებზე. მაგალითად, საინვესტიციო პროექტებმა შეიძლება გაართულონ ქალების მიერ ტრადიციული საოჯახო ვალდებულებების შესრულება ან საკუთარი მეურნეობის წარმოება, რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო (მაგ., ქალებს, შესაძლოა, წყლის ან შეშის მოსატანად, დასჭრიდეთ უფრო მეტი დრო და უფრო მეტი ძალისხმევის გაწევა).

ამგვარად, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტების ზეგავლენა ქალებზე და ქალთა დასაქმების შესაძლებლობებზე მრავალმხრივია და დამოკიდებულია კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელ პირობებზე, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე. ამდენად, საინვესტიციო პროექტების დაგეგმვისას, გენდერული ხასიათის შესაძლო შედეგების წინასწარ შეფასებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

5.4 საინვესტიციო პროექტის ზეგავლენა ადგილობრივთა საარსებო საშუალებებზე

ინვესტიციის შედეგად, სამუშაო ადგილების შექმნით მიღებული სარგებლის შეფასება შეუძლებელია ისეთი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე როგორიცაა - საინვესტიციო პროექტამდე ადგილობრივთა მიერ საარსებო სახსრების გამომუშავების სტრატეგია. სხვა სიტყვებით, ინვესტიციით მიღებულ სარგებელზე სრული სურათის წარმოსადგენად, აუცილებელია შეფასდეს, რა იყო ადგილობრივთა საარსებო წყარო ინვესტიციამდე და რა ზეგავლენა მოახდინა საინვესტიციო პროექტმა ამ წყაროებზე.

ზოგ შემთხვევაში, „სამუშაო ადგილების შექმნამ“ - როგორც სარგებელმა - შეიძლება, სულაც ვერ გადაწონოს პროექტით გამოწვეული უარყოფითი შედეგები; ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც პროექტის გამო საარსებო წყაროები დაკარგეს, შეიძლება აჭარბებდეს ადამიანთა რაოდენობას, რომლებმაც საარსებო წყარო გაიჩინეს საინვესტიციო პროექტით შექმნილ ადგილებზე დასაქმების შედეგად. ეს განსაკუთრებით თვალნათელია მაშინ, როდესაც საინვესტიციო პროექტის გამო, ადგილობრივებს უწევთ მიწების დატოვება და იძულებითი განსახლება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის წვლილი ქვეყნის (რეგიონის, დასახლების) მდგრად განვითარებაში შეფასდეს სწორედ იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ის ადგილობრივთა, მათ შორის, მცირე ფერმერთა საარსებო წყაროებზე და ხომ არ გამოიწვევს ის იძულებით განსახლებას.

საგულისხმოა, რომ ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს საარსებო წყაროები, შეიძლება დასაქმდნენ ან ვერ დასაქმდნენ საინვესტიციო პროექტით შექმნილ სამუშაო ადგილებზე. ამგვარად, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულთა ნაწილმა შეიძლება მიიღოს სარგებელი პროექტისგან, ნაწილი კი, დაზარალებული აღმოჩნდეს.

დასაქმების - როგორც სარგებლის - განცალკევებულად განხილვა, საფუძველშივე არასწორია. სამუშაო ადგილების შექმნა არ შეიძლება განხილულ იქნეს განსახლების სანაცვლო კომპენსაციად.

საინვესტიციო პროექტებმა, განსახლების გარდა, შესაძლოა, გამოიწვიონ იმ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომლებზეც ადამიანები, საინვესტიციო პროექტის დაწყებამდე, სასიცოცხლოდ იყვნენ დამოკიდებული (მაგალითად, შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს საძოვრებზე, წყალზე, თევზის რესურსებზე, ტყის არამერქნულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა). საინვესტიციო პროექტების განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზეგავლენის (მაგალითად, დაბინძურების) გამო, შეიძლება ამ რესურსების მდგომარეობა გაუარესდეს და საბოლოოდ, ეს უარყოფითად აისახოს ადგილობრივთა მიერ საარსებო სახსრების გამომუშავების სტრატეგიაზე, შესაძლებლობებზე. ეს შესაძლო უარყოფითი შედეგებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საინვესტიციო პროექტის ხარჯებისა და სარგებლის შეფასებისას.

ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, ასევე, რომ ყველა პროექტი ოდესღაც სრულდება და ეს, თავისთავად ზეგავლენას ახდენს დასაქმების მდგომარეობაზეც. სასოფლო-სამეურნეო პროექტები, თეორიულად, შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდნენ, იმდენად, რამდენადაც ასეთი პროექტები განახლებადი ბუნებრივი რესურსების - მიწისა და წყლის - გამოყენებას ეფუძნებიან (ესეც იმ ვარაუდით, რომ გამოიყენება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები პრაქტიკა). პრაქტიკაში კი, პროექტები, როგორც წესი, გარკვეულ ვადაზეა გათვლილი, ანდა არც თუ იშვიათად, წარმატებას ვერ აღწევენ და პროექტები წყდება. პროექტების დასრულებისას, ადამიანები კარგავენ სამუშაო ადგილებს; უარეს შემთხვევაში კი, მეორედ კარგავენ საარსებო წყაროსაც (იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის წინა მფლობელს მოუწია მიწის საინვესტიციო პროექტისთვის დათმობა). ასეთი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, წინასწარ დაისახოს პროექტის დახურვის/დასრულების შემთხვევაში გასატარებელი, უარყოფითი შედეგების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა. გარდა ამისა,

აუცილებელია, განისაზღვროს, როგორ უნდა განიკარგოს მიწა პროექტის დახურვის/დასრულების შემთხვევაში. მაგალითად, პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში, საუკეთესო მიდგომა იქნებოდა, რომ მიწის წინა მფლობელებს მიეცეთ მიწის დაბრუნების შესაძლებლობა.

5.5 როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების შესაძლებლობების შექმნისთვის?

თუ სახელმწიფოს სურს, მიიღოს სარგებელი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტიდან და თავის მოქალაქეებს შეუქმნას დასაქმების ახალი შესაძლებლობები, აუცილებელია, რომ შესაბამისმა კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა სრულფასოვნად შეაფასონ პოტენციური სარგებელი. უნდა შეფასდეს როგორც პროგნოზირებული სამუშაო ადგილების ხასიათი, ისე ზოგადად, პროექტის ზეგავლენა ადგილობრივთა საარსებო წყაროებზე.

სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ მოსთხოვონ პოტენციურ ინვესტორებს პროგნოზირებული სამუშაო ადგილების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, როგორიცაა, მაგალითად:

- როგორ იქნა დათვლილი მოსალოდნელი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- მოსალოდნელი სამუშაო ადგილების ხასიათი (მაგ., მუდმივი, სეზონური, მაღალ ან დაბალკვალიფიციურ მუშახელზე გათვლილი და სხვ.);
- მონაცემები სხვა, მსგავსი, შედარებადი პროექტებიდან - როგორც მტკიცებულება იმისა, რომ დაგეგმილმა პროექტმა შეიძლება მოიტანოს იგივე სარგებელი;
- შემოთავაზებული საინვესტიციო მოდელი და რამდენად სათანადოა ის ადგილობრივი პირობებისთვის (მაგალითად, ხომ არ ითვალისწინებს ის ნარდობის სქემის გამოყენებას; ან მიწის შეძენას ადგილობრივებისგან); რა შესაძლო დადებითი ანდა უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს შემოთავაზებული მოდელის გამოყენებას;
- რა სახის კულტურების მოყვანაა დაგეგმილი და წარმოების რა მეთოდები იქნება გამოყენებული (სახელმწიფოს შესაძლოა, სურდეს, წაახალისოს ისეთი კულტურების მოყვანა, რომელიც მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის; ან სურდეს მცირე ფერმერებისთვის სეზონური დასაქმების შესაძლებლობების შექმნა);
- რამდენი იქნება ქვეყნის მოქალაქეთა ან ადგილობრივთა (თემის წევრთა) პროცენტული წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში; აქვე, შეიძლება, მოთხოვნილ იქნეს ტრენინგის პროგრამების ჩატარება, რათა ადგილობრივებმა, დროთა განმავლობაში, შეძლონ ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებიც მოითხოვს როგორც დაბალ, ისე მაღალ კვალიფიკაციას. ადგილობრივთა დასაქმების დაპირებები, ხშირად, არ სრულდება და შესრულების მდგომარეობას ამოწმებს ვინმე, ამიტომ აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს მონიტორინგისა და აღსრულებაზე კონტროლის სისტემის გამართული მუშაობის შესაძლებლობები.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს არა საინვესტიციო პროექტისთვის ადგილობრივებისგან სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვას, არამედ ინკლუზიური ბიზნეს მოდელების გამოყენებას, მათ შორის, „ნარდობის სქემების“ გამოყენებას და პირდაპირის გარდა, დასაქმების ირიბი და სტიმულირებული შესაძლებლობების შექმნას. ამასთან, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს შესაფერისი დაცვის მექანიზმების არსებობაზეც, რათა, მაგალითად: ინვესტორებმა უსაფუძვლოდ არ გამოიყენონ ინკლუზიური მოდელები, თავისი ბიზნეს-რისკების სქემაში მონაწილე მცირე ფერმერებზე გადასაბარებლად; მცირე ფერმერები თავისი ნებით მონაწილეობდნენ ასეთ სქემებში; მცირე ფერმერებს ჰქონდეთ ინვესტორთან თანასწორ მოლაპარაკებაში შესვლის უნარები და შესაძლებლობები. გარდა აღნიშნულისა, ასეთი სქემების ხელშეწყობისას, ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერულ საკითხსაც, რათა ქალები არ დაიჩაგრონ და არ აღმოჩნდნენ ძალაუფლებადაკარგულნი ინკლუზიურ ბიზნეს მოდელებში. ქალების გასაძლიერებლად შეიძლება, მაგალითად, ქალთა კოოპერატივების მონაწილეობის ხელშეწყობაც ასეთ მოდელებში.

ირიბი და სტიმულირებული დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად, მთავრობამ, მაგალითად, შეიძლება მოუწოდოს ინვესტორებს ადგილობრივი წარმოების პროდუქტებისა და სერვისების შესყიდვისკენ, ასევე, მოყვანილი კულტურების ადგილზე გადამუშავებისკენ.

საინვესტიციო პროექტის მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად, მთავრობამ შეიძლება, შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა (ან საინვესტიციო ხელშეკრულებებში ასახოს ვალდებულები), რომელიც ინვესტორს დაავალდებულებს საინვესტიციო პროექტის არეალის გარეთ, ინვესტორის მიერ შექმნილი ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ფერმერების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ საზიარო გამოყენების შესაძლებლობის მიცემას. ასეთი ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს, მაგალითად: გზა, საირიგაციო სისტემა, სავაჭრო ცენტრი ან აგროსამრეწველო გადამამუშავებელი საწარმოები. შეიძლება, ასევე, მთავრობასა და და ინვესტორს შორის, თავიდანვე შედგეს შეთანხმება საზიარო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და ასეთი ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯების განაწილებაზე ან/და დონორული დაფინანსების მოზიდვაზე. ასეთი ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს, „ნარდობის სქემების“ გარეშეც მოიყვანონ კულტურები და გაყიდონ მიღებული მოსავალი. ზემოაღწერილი პოლიტიკა უნდა გატარდეს სიფრთხილით, რათა არ მოხდეს ინვესტორთა საქმიანობაში უსაფუძვლო ჩარევა და საქმიანობის შეზღუდვა. აღწერილი მიდგომა მოითხოვს სქემის სარგებლიანობისა და მდგრადობის, განსაკუთრებით, ფინანსური მდგრადობის წინასწარ შეფასებას და გადაწყვეტილებების ამ შეფასების შედეგების მიხედვით მიღებას.

ზოგ ქვეყანაში, მთავრობები ითხოვენ (ან კანონმდებლობა ითხოვს), რომ ინვესტორებმა ადგილობრივ თემებთან დადონ სარგებლის განაწილების შეთანხმებები[8]. ასეთი შეთანხმებები, ხშირად, მოიცავენ ადგილობრივი ეკონომიკისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართულ დებულებებს.

[8] სარგებლის განაწილების შეთანხმებების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ: ქეთი გუჯარაიძე (2019) *ეკუთვნით, თუ არა ადგილობრივ თემებს წილი საინვესტიციო პროექტებიდან?*, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი. მწვანე ალტერნატივა.

6. სოფლის მეურნეობაში გონივრული ინვესტირების წინაპირობები

როდესაც მთავრობები ცდილობენ ინვესტორების მოზიდვას, ისინი, ამისთვის იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს (ეს ინსტრუმენტები აღწერილია ამ სახელმძღვანელოს მეორე თავში). ამასთან, პრაქტიკის კვლევები აჩვენებს, რომ ინვესტორებს იზიდავს არა ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმები, არამედ ქვეყანაში არსებული ინვესტიციის ხელშემწყობი გარემო. ხელშემწყობ გარემოში იგულისხმება იმ პირობების, ფაქტორებისა და დაცვის მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც ახალისებს ზოგადად ინვესტიციას და კერძოდ, გონივრულ ინვესტიციას. ამდენად, მთავრობების მთავარი ამოცანა უნდა იყოს, სწორედ, გარემოს - საინვესტიციო კლიმატის - გაუმჯობესება.

„სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების პრინციპების“ თანახმად, საინვესტიციო გარემოს მთავარი ელემენტებია:

- სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც შეესაბამება „სოფლის მეურნეობასა და სურსათის სისტემებში გონივრული ინვესტირების პრინციპებს“ და ქვეყნის განვითარების ეროვნულ სტრატეგიებს;
- პოლიტიკის გამართულობა და თანმიმდევრულობა;
- სამთავრობო უწყებების კოორდინირებული მუშაობა;
- პოლიტიკების, სტრატეგიებისა და ხელშემწყობი ინსტრუმენტების, ასევე, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესის გამჭვირვალობა, ინკლუზიურობა და მონაწილეობითობა.

როდესაც საინვესტიციო კლიმატზე საუბრობენ, როგორც წესი, გულისხმობენ, რომ ამას მნიშვნელობა აქვს უცხოელი ან/და ადგილობრივი მსხვილი ინვესტორებისთვის, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საინვესტიციო გარემოს არაერთი ელემენტის მდგომარეობა თანაბრად მნიშვნელოვანია ადგილობრივი საშუალო და წვრილი მეწარმეებისთვისაც. ქვემოთ, მე-3 ცხრილში, მოცემულია საინვესტიციო კლიმატის ფაქტორები, რომლებიც, როგორც წესი, ზეგავლენას ახდენენ ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე.

ცხრილი 3. საინვესტიციო კლიმატის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე[9]

მაკრო პირობები	• პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა • კონფლიქტების არარსებობა • სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გამართულობის და მათ შორის კოორდინაციის ხარისხი • კარგი მმართველობა • კომერციული სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწის შესახებ ინფორმაცია • კორუფციის ხარისხი • უსამართლო საერთაშორისო კონკურენციისგან დაცვა
მატერიალური პირობები	• მიწაზე და ადგილთან მიბმულ სხვა სასურველ (ბუნებრივ) რესურსებზე ხელმისაწვდომობა • კვალიფიციურ მუშახელზე ხელმისაწვდომობა • კარგი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სასოფლო ტერიტორიებზე (მაგალითად, მისასვლელი გზები, წყალი, ელექტრომომარაგება, სარკინიგზო და საპორტო ობიექტები, საწყობები) • მთავარ ბაზრებთან ხელმისაწვდომობა და დაშორება • ნედლეულთან სიახლოვე • ადგილობრივი ბაზრის სიდიდე და ამ ბაზარზე ბიზნესის კეთების შესაძლებლობა • ფინანსებზე წვდომა გონივრული საპროცენტო განაკვეთებით • სამიზნე ბაზრამდე მანძილი • სოფლის მეურნეობის სფეროში „კვლევისა და განვითარების“ ობიექტების ხელმისაწვდომობა • საერთაშორისო ვაჭრობის ხელმისაწვდომობა
გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები	• წყალი • კლიმატი • ნიადაგის ნაყოფიერება და სიჯანსაღე • საჭირო კულტურების ხელმისაწვდომობა
კანონმდებლობა და ინსტიტუციები	• დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა • პროგნოზირებადი მარეგულირებელი გარემო (კანონის უზენაესობა) • გამჭვირვალე და პროგნოზირებადი საგადასახადო რეჟიმი

[9] წყარო: Bulman, A., Cordes, K.Y., Mehranvar, L., Merrill, E. and Fiedler, Y. (2021) Guide on incentives for responsible investment in agriculture and food systems. Rome, FAO and Columbia Center on Sustainable Investment.

	• საკუთრების უფლებების ადეკვატური დაცვა • მიწის საკუთრებისა და მიწით სარგებლობის უფლებების დაცვის სისტემის არსებობა, ადგილობრივ თემებთან კონფლიქტების არარსებობა • სახელშეკრულებო სამართლის არსებობა და აღსრულება • კორპორაციული, სოციალური, შრომისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის არსებობა და აღსრულება • ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური პირობები

ცხრილში მოცემული საინვესტიციო კლიმატის ელემენტების არარსებობამ, შესაძლოა, დააბრკოლოს ინვესტიცია. ასეთი ბარიერების ნაწილი შეიძლება დაიძლიოს ინვესტიციების ხელშემწყობი ინსტრუმენტების გამოყენებით, ნაწილი - აუცილებელი რეფორმების გატარებით; ნაწილი, შეიძლება, ვერც კი დაიძლიოს. ქვეყნის (მთავრობის) მთავარი გამოწვევა სწორედ ესაა - შეაფასოს, რომელი ფაქტორების კონტროლი შეუძლია მას და რომლის - არა და ამის მიხედვით დაგეგმოს შემდგომი ქმედებები ქვეყანაში გონივრული ინვესტიციების მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის #2665 განკარგულება „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021 – 2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

Bulman, A., Cordes, K.Y., Mehranvar, L., Merrill, E. and Fiedler, Y. (2021) *Guide on incentives for responsible investment in agriculture and food systems*. Rome, FAO and Columbia Center on Sustainable Investment.

Cordes, Kaitlin Y.; Östensson, Olle; Toledano, Perrine (2016) *Employment from mining and agricultural investments: How much myth, how much reality?*, Columbia Center on Sustainable Investment, Columbia University.

Cotula, Lorenzo (2015) *Land rights and investment trities: Exploring the interface*. International Institute for Environment and Development (IIED), London.

Open Contracting Partnership, Columbia Center on Sustainable Investment (2016) Transparency in land-based investment: key questions and next steps. Washington, D.C., Open Contracting Partnership

Smaller, Carin; Speller, William Robert; Mirza, Hafiz Rohman; Bernasconi-Osterwalder, Nathalie; Dixie, Grahame. 2015. *Investment contracts for agriculture: maximizing gains and minimizing risks* (English). Agriculture Global Practice discussion paper, no. 3 Washington, D.C., World Bank Group.

Szoke-Burke, S., Mebratu-Tsegaye, T., and Sommer, W., (March, 2021) *Transparency for whom? Grounding land investment transparency in the needs of local actors*. Columbia Center on Sustainable Investment.

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართ.
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org